სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 21 ივლისი 2004 №166 (2187) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის აქ არის შემო, შემონდ



საქართველოს ნაკრები იტალიაშია. იტალიაშია „გაქართველებული“ შემონდ უილიამსიც, რომელიც სან ჯორჯოს ოთხთა ტურნირზე სათამაშოდ ამერიკიდან ზაზა ფაჩულიასთან ერთად ჩავიდა. საქართველოს ნაკრები თბილისიდან პრაღის გავლით რომში ჩაფრინდა და გუშინ საღამოს უკვე ნეაპოლის გარეუბან სან ჯორჯოში იყო. სასტუმროში დაბინავება იყო და, დრაჟენ ბრაიკოვიჩმა გუნდი სავარჯიშოდ გაიყვანა, ნავარჯიშევს კი ვლადიმერ ბოისას და ზაზა ფაჩულიას გავესაუბრეთ...

— ძალიან გავწვალდით. 12 საათზე მეტი მოვუნდით მგზავრობას — დაიჩივლა ბოისამ — თბილისიდან ერთი საათის დაგვიანებით, დილის რვის ნახევარზე გავფრინდით. პრაღაშიც რაღაც პრობლემები შეგვექმნა და რომში კარგა ხნის დაგვიანებით ჩავფრინდით. მერე კიდევ ავტობუსით მგზავრობა სან ჯორჯომდე — მოკლედ, მაგრად მოვიქანცეთ.

— სად დაბინავდით, როგორ მოისვენეთ?

— სასტუმრო „ასტორიაში“ ვართ, რომელიც კაღეტთა ნაკრებისთვის უფრო გამოდგებოდა, ვიდრე ეროვნულისთვის. საწოლები ვერაა ჩვენი სიგრძის. დაბლები ეგებ დაეტიონ, მაგრამ მე ვერ ვიშლები ბოლომდე და ჩემზე მაღლებიც ხომ არიან.

— ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობა უკვე ჩამოვიდა?

— ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი, გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი, მწვრთნელი დავით უსტიაშვილი და ჭაბუკთა ნაკრების სამი წევრი რომში დაგვხვდნენ.

— ზაზა ფაჩულია და შემონდ უილიამსი მანდ არიან?

— ისინი ჩვენზე ადრე ჩავიდნენ რომში და აეროპორტში შევხვდით. უილიამსს ძმაც ჩამოჰყვა.

— რა კაცი ჩანს უილიამსი?

— დრო არ გვქონდა ახლოს გასაცნობად. ავტობუსში თითო სიტყვა ყველას გვითხრა, მერე კი, სან ჯორჯოში რომ ჩავედით, სასტუმროში დარჩა ზაზასთან ერთად. დაღლილები იყვნენ და არ უვარჯიშიათ.

— ვარჯიშიც მოასწარით?

— ცოტა წავივარჯიშეთ. დარბაზი სასტუმროდან 10 წუთის სავალზეა.

— ტურნირის დანარჩენი მონაწილენიც მანდ არიან?

— იტალიამ ჩვენამდე ივარჯიშა, დასასრულს ჩვენც ვადევნეთ თვალი. იტალიელები სრული შემადგენლობით არიან, მხოლოდ კარლტონ მაიერსსა და ჯანლუკა ბაზილეს ვერ მოვკარი თვალი.

— რუსეთი?

— რუსები ხვალ ჩამოდიან და მგონი, ანდრეი კირილენკოც მოჰყავთ.

ბოისას შემდეგ ფაჩულიასაც ვესაუბრეთ...

— ძალიან დაქანცული ვარ, ვარჯიშის თავიც კი არ მქონდა.

— შენ და უილიამსი ერთ ნომერში ხართ?

— ის ძმასთან ერთად ჩამოვიდა და ნომერშიც ერთად არიან. არც უილიამსს უვარჯიშია, გზამ ძალიან დაგვლალა.

— ბესიკ ლიპარტელიანი უკვე შეხვდა უილიამსს?

— კი გაიცნო, მაგრამ საქმიანი ლაპარაკი ვერ მოასწრეს.

— ითამაშებს უილიამსი ოთხთა ტურნირში?

— ფეხი აწუხებს და არა მგონია, მთელი დატვირთვით ითამაშოს. ალბათ 5-10 წუთით გავა მოედანზე.

ირაკლი პერტაია

შოთა საგოლე პასი ზურა უშეცდომო ფაიმი

ოთხ თვეზე მეტია, შოთა არველაძეს ბურთისთვის ფეხი არ დაუკარებია. 7 მარტს გლაზგოს „სელტიკთან“ თამაშის მერე „რეინჯერსის“ ქართველმა მძიმე ოპერაცია გადაიტანა და მოედანს გუშინღა დაუბრუნდა. „ჩაფრები“ ამხანაგურად გაეჯიბრნენ იტალიურ „რომას“ და 4:1 დაამარცხეს. არველაძემ ბოლო 20 წუთი ითამაშა და ნამატჩევს ჩვენს კითხვებსაც უპასუხა...

— ფეხს თავი არ შეუხსენებია და ეს ამბავი ძალიან მახარებს. საკუთარ თამაშზე რა გითხრათ, 20 წუთში რაც შევძელი, ერთი საგოლე პასია — ალექს რაემ ჩემი გადაცემით გაიტანა.

— ზურაბ ხიზანიშვილმა როგორ ითამაშა?

— ზურა მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო. ფაქტობრივად, უშეცდომოდ ითამაშა.

— მომდევნო ამხანაგურს ვისთან ითამაშებთ?

— ინგლისურ „ფულემთან“.

— შესაძლოა, რომ შენი სათამაშო დრო გაიზარდოს?

— ალბათ, რა ვიცი... ჯერ არსად მეჩქარება. მთავარია, დატვირთვებს თანდათან შევაჩვიო ფეხი. ძლივს გამოვჯანმრთელდი და ახლა უაზრო აჩქარებამ, შესაძლოა, ყველაფერი წყალში ჩამიყაროს.

კახა შალამბერიძე

არავითარი შეღავათი

10

ვიგ ჯორჯია
დინამო
თბილისი
ლოკომოტივი
დილა
სიონი
ტორპედო
კოლხეთი
ბათუმი
ზესტაფონი

დღეს პროფლიგის კონფერენციაა.

ფეხბურთის ფედერაციის შენობაში გუნდებს და მათ ნაშოვნ ასეულობით ათას ლარს დაითვლიან და „ზოგ-ზოგებს“ ალბათ უმაღლესი ლიგიდანაც დაიფრენენ, ანუ ქართული ფეხბურთისთვის უპრეცედენტოდ პრინციპული გადაწყვეტილებების მომსწრენი უნდა გავხდეთ.

პროფლიგა საგანგებო კომისიის ანგარიშს მოისმენს და მერე შეუსმენელთ მისდგება. შეუსმენელი კი ჯერჯერობით ორია, უმაღლესში წლეულს აღზევებულნი — „რუსთავი“ და „ქობულეთი“, რომელთაც არც ფული აქვთ და არც უმაღლესში სამონაწილეო პიროობები. ჰოდა, მოუწევთ ამ სვეგამწარებულებს განაჩენის მოსმენა — უმაღლესში არაფერი გესაქმებათ. თუმც ვინ იცის, ემანდ დარჩენილ ათეულში გამოჩნდეს ვინმე ჯიბეგახვრეტილი და...

ისე კი, უმაღლესი ლიგა 10 გუნდამდე თუ შემცირდა (არადა, პროფლიგის პრინციპულობის იმედი გვაქვს), დარჩენილთ სეზონში დატვირთვაც მოაკლდებათ — 36 ტური 44-ის ნაცვლად, იქნება ახალი კალენდარი და დასასვენებლად მეტი დროც.

ჩემპიონატიც კი ალბათ დაგეგმილზე, 24 ივლისზე გვიან დაიწყება.

ქობულეთი ერთმა წერილმა დაშალა, **რუსთავი** ხი, როგორც ყოველთვის...

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

CHAMPIONS LEAGUE

I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

ფრთხილად, ქაჯეთია!

ტბილისი-ამსტერდამი-კოპენჰაგენი-ტორსჰავნი, ასეთი რეისით ჩააღწია „ვიტ ჯორჯიამ“ ფარერეებზე. ალბათ შეხსენებაც არ გჭირდებათ, რომ ვიტელებს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი აქვთ სათამაშო „HB ტორსჰავნთან“. თბილისში კი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებმა ფარერელებს ულაპარაკოდ მოუგეს — 5:0.

დღეს კი განმეორებითი შეხლაა — ურცხვად ყველგანმფსმელი და ამით თავმომწონე ფარერელები ცალი ფეხით მეორე ეტაპზე მყოფ „ვიტ ჯორჯიას“ მშობლიურ ორიათასიან „გუნდადალურზე“ იქაური დროით 19 საათზე დაუხვდებიან და არავის ეგონოს, რომ უპრობლემოდ გაატარებენ. აქ, ცხადია, იმას არ ვგულისხმობ, „ტორსჰავნი“ თბილისური 0:5-ის ამოქაჩვას ეცდებაო. ეს აბსურდი კია, თუმც უტეხი ფარერელები ვიტელებს რომ არ მოერიდებიან და პროვოკაციებზეც უეჭველად წავლენ, ფაქტია. ბოლოს და ბოლოს, მსგავსი რამ „ეროვნულზე“ პირველ მატჩშიც კარგად ვნახეთ — როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, კუნძულელები გამეტებით ურტყამდნენ კოჭებში ჩვენებურებს და ორი ყვითელიც აჰკიდეს. ამიტომაც ვამბობ, ვეტერინარებს დაფიქრება და ცივი გონებით თამაში მართებთ, თორემ ემანდ პოლონურ „ვისლამდე“ ნახევარი გუნდი არ შეგვრჩეს ხელში.

აქვე ტორსჰავნში წასულ ვიტჯორჯიელთა შემადგენლობასაც გაგაცნობთ: *დავით მამარდაშვილი, მიხეილ მუჯრიშვილი, დავით იმედაშვილი, ვლადიმერ გოჩაშვილი, ოლეგ გველესიანი, გიორგი კვაზაძე, ალექსანდრე ინწკირველი, თენგიზ კობიაშვილი, ირაკლი მალიჩავა, ლაშა ნოზაძე, დავით დიღმელაშვილი, ოთარ მარცვალაძე, ლევან კვარაცხელია, პაატა დათუნაშვილი, ერეკლე მერებაშვილი, ირაკლი ებანოიძე.*

კახა შალამბერიძე

ტარგ ულიანოვის ფოტო

თბილისში ვიტჯორჯიელებმა „ტორსჰავნს“ ხუთი უპასუხო გაუტანეს

შვეიცარია

სუპერლიგა. I ტური

თუნი 3:0 სერვეტი

შკრაინა

პრემიერლიგა. II ტური

კრივბასი 1:2 დნიპრო

მეტალისტი 1:4 მეტალურგი (დ)

ოგოლონი 0:1 ვოსკლა

შახტარი 1:0 ჩერნომორეცი

ტავრია 1:1 მეტალურგი (ზ)

ვოლინი 3:2 ილიჩევეცი

ზაკარპატია 1:2 დინამო

ირლანდია

ლიგის თასის 1/4 ფინალი

ფინ ჰარპსი 1:2 ლონგფორდი

ამხანაგური მატჩები

ფეიენოორდი 4:2 არმინია

რომა 1:4 რეინჯერსი

ბაზელი 3:3 ვერდერი

ვეცი 2:2 სტანდარდი

დანია

სუპერთასი

კოპენჰაგენი 2:1 ოლბორგი

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. II ტური

პაშინგი 3:0 შტურმი

ჩათვალეთ, რომ „ქობულეთი“ უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს. გუნდი, ფაქტობრივად, დაშლილია — გვითხრა გუშინ „ქობულეთის“ მწვრთნელის თანაშემწემ ამირან ანანიძემ.

მოგეხსენებათ, პროფლიგა მე-16 ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდებისგან განაცხადებისა და 300-ათასლარიანი გარანტიების მიღებას დღეს ამთავრებს...

არ გახსნათ წერილი, ბომბია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაფერ ჯიბლაძის ფოტო

„ქობულეთის“ თავკაც ავთანდილ გორგილაძეს უმაღლესი ლიგა ხელიდან გამოეცალა

ტერმინალმა ქობულეთი აიფეთქა, რუსთავმა „რუსთავი“ ჩაშალა

300 ათასი ლარი კლუბის ანგარიშზე — პროფლიგის ამგვარი მოთხოვნა, ყოველ შემთხვევაში, საღეღისოდ, ორი კლუბისთვის, — „ქობულეთისა“ და „რუსთავისთვის“ შეუსრულებელი ჩანს. მეტიც, უტოპიურია, თუკი ამ გუნდების უკიდურეს ფინანსურ გაჭირვებას გავითვალისწინებთ. არადა, „ქობულეთმაც“ და „რუსთავმაც“ წინა, პირველლიგური სეზონი რიხით ჩაამთავრეს და ერთი რვა, მეორე კი ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას. თუმც, დაბრუნება უკვე გადაჭარბებულ ნათქვამად შეიძლება ჩაითვალოს.

რუსთაველთაგან ჯერ არაფერი ისმის. ისიც გაურკვეველია, „რუსთავის“ პატრონი ვინ არის. მესვეურთ პროფლიგაც კი დაეძებს, მაგრამ ვერავის უკავშირდებიან. ერთი ვიცით, რომ ვალერი კილასონია ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელად დაინიშნა, „რუსთავში“ მისი ყოფილი თანაშემწე, იასონ ალადაშვილი კი „ფოლადზე“ იმ ფეხბურთელებს ავარჯიშებს, ვისაც ვარჯიშის სურვილი აქვს. გაზვიადებული არ იქნება ვთქვათ, რომ რუსთავს უმაღლესლიგელი გუნდი არ ჰყავს და თუ ჰყავს, ეს გუნდი პროფლიგის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, პროფლიგამ დღევანდელ კონფერენციაზე „რუსთავს“ წითელი ამოუღოს.

და თუ რუსთავში კლუბის პატრონ-მყვარებელი წინა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ არავინ გამოჩენილა, ერთი-ორად გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ „ქობულეთი“ სპონსორმა, ჟარგონზე რომ ვთქვათ, ორი კვირის წინ გადაადგო. მაშინ, როცა „ქობულეთი“ შეიკრიბა და ჩემპიონატისთვის მზადება შინვე, სასტუმრო „ინტურისტში“ დაიწყო, ბათუმის ნავთობტერმინალისგან წერილი მიიღო, ჩვენ ვწყვეტთ თქვენთან თანამშრომლობასო. „ქობულეთი“ „ინტურისტში“ ოთხი დღე ცხოვრობდა და ამ წერილის წაკითხვისთანავე დაშლილა. მიწვეული ფეხბურთელები კი ქალაქიდან აბარგებულან და 14 ივლისის შემდეგ ისინი ქობულეთში არც უნახავთ.

ბათუმის ნავთობტერმინალს კი „ბათუმის“ სპონსორობა გადაუწყვეტია და ხელმძღვანელები ამბობენ, ორი უმაღლესლიგელი გუნდის შენახვის თავი არ გვაქვსო.

ქობულეთში უკვე შეგუებულები არიან იმ აზრს, რომ გუნდი უმაღლეს ლიგაში წლეულს ვეღარ ითამაშებს. გუნდის უფროსები უიმედოდ არიან და პროფლიგის დღევანდელ კონფერენციაზე რას იტყვიან, მათთვის უკვე ნაკლებმნიშვნელოვანია.

დღეისთვის კი ქობულეთის ცენტრალურ სტადიონზე ქომაგები აპირებენ შეკრებას და საპროტესტო აქციის გამართვას. გულშემატკივარი გუნდში დარჩენილი ხალხისგან პასუხს ელის, თუმც „ქობულეთის“ უფროსობამ მათ სათქმელი გუშინ უკვე უთხრა — უმაღლესში ვერ ვითამაშებთ!

„ქობულეთის“ საზრუნავი კი პროფლიგის კონფერენციის შემდეგ იქნება პირველი ლიგა, რომლის გათამაშებაც, მოგვიანებით, 15 აგვისტოს იწყება და იქამდე, ეგებ, „ქობულეთსაც“ ეშველოს რამე.

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, დღევანდელ კონფერენციაზე „ქობულეთს“ და „რუსთავს“ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას არ მისცემენ და ის კალენდარიც, რომელიც პროფლიგამ 12 გუნდისთვის შეადგინა, 10-გუნდიან თარგზე მოსაჭრელი შეიქნება. შესაბამისად ჩემპიონატიც, ალბათ, მოგვიანებით დაიწყება.

კოტა ინასარიძე

ესაც კილასიონი

ბოლნისის „სიონს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — „რუსთავის“ აწ უკვე ყოფილი თავკაცი ვარლამ კილასონია „სიონში“ მუშაობას გუშინ შეუდგა და პირველი ვარჯიშიც ჩაატარა.

კილასონიასა და „სიონის“ თანამშრომლობა ორწლიანი იქნება, თუმც შედეგსაც გააჩნია. შედეგიანობა კი ვარლამ კილასონიას, იცოცხლეთ, ეხერხება. მისი ხელმძღვანელობით ხომ ფაქტობრივად დაშლილი „რუსთავი“ წინა სეზონში უმაღლესში გადავიდა. მაგრამ რად გინდა, „რუსთავის“ მესვეურთა გულგრილობა კლუბს ძვირად დაუჯდა — ამბობენ, დღეს პროფლიგის კონფერენციაზე „რუსთავს“ ისევ პირველი ლიგის საგზურს გამოუწერენო.

ჰოდა, ვარლამ კილასონიამაც „სიონისგან“ წინადადება მიიღო, იფიქრა, იფიქრა და ბოლნისელთა გაწვრთნას დათანხმდა.

დღესდღეობით ახალი მწვრთნელის შეგირდთა შორის შარშანდელი „სიონის“ არც ერთი ფეხბურთელი აღარაა. ყველა თავის ბედს ეწია. ძველთაგან ერთი გილაური ვარჯიშობდა და დღეს-ხვალ ისიც მიდის, სავარაუდოდ ირანში.

ახალი გუნდის შექმნას კი ვარლამ კილასონია, ბუნებრივია, ახალი ფეხბურთელების მიწვევით იწყებს: „სიონის“ მწვრთნელის სიაში არიან რუსთაველი გიორგი ბარბაქაძე, სეზონის ბოლოს „ამერიდან“ წასულები დიმიტრი ვერემჩუკი, მამუკა რუსია და დავით ასლანაძე, ასევე „რუსთავში“ ადრე მოთამაშე დავით ზაზაშვილი და „ლოკომოტივის“ მეკარე ზვიად ბობღიაშვილი. ზაზაშვილს „სიონის“ გარდა ბორჯომის „თორიც“ ეპატიჟება და ახლა საბოლოო სიტყვა თავად ფეხბურთელზეა.

აი, ასეთია სიონური ამბები, ახალი მწვრთნელი, ახალი გუნდი... დანარჩენი ბოლნისელებმა იციან.

კოტა ინასარიძე



ბაფერ ჯიბლაძის ფოტო

ვარლამ კილასონია „რუსთავისთვის“ გამზადებულ საუმაღლესო შამპანურს ბოლნისში გახსნის

ბატეზე ძლიერიც ჩვენი საგზილოა



25 წლის ფორვარდი ბორის გონჩაროვი თბილისის „დინამომ“ საამსეზონოდ გადაიბირა ბოლნისის „სიონიდან“, თუმც გონჩაროვი „დინამოში“ უცხო კაცი სულაც არაა — 1997-99 წლებში ის „დინამო 2“-ში თამაშობდა, ხოლო 2000 წელს უმაღლესი ლიგის „თბილისში“, რომელიც მაშინ „დინამოს“ მეორე გუნდი იყო.

წინა სეზონი კი გონჩაროვისთვის ყველაზე წარმატებული გამოდგა — 17 გოლი გაიტანა ჩემპიონატში და „დინამოს“ მწვრთნელ გია გეგუჩაძისთვის სასურველი ფეხბურთელიც შეიქნა.

ეს სეზონიც კარგად დაიწყო გონჩაროვისთვის — უეფას თასზე ბატესთან 3:2 მოგებულ მატჩში ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ეფექტურადაც გაიტანა გამათანაბრებელი გოლი, როცა „დინამოს“ 1:2-ს აგებდა

დინამო და საკუთარი თავი გონჩაროვისთვის

— „დინამოში“ ფეხის მოკიდება არავისთვისაა იოლი, შენ კი შეკრებაზეც კარგად წარმოაჩინე თავი და ბატესთანაც — მიგაჩნია, რომ „დინამოს“ უკვე კარგად შეეწყვე?

— ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა, თუმც, როგორც უნდა იყოს, მოდუნება არ შეიძლება — თუ სპორტსმენი ხარ, არ უნდა მოეშვა, თორემ სხვა გაჯობებს.

— ჩვენს ჩემპიონატში ბოლო დროს საერთო დონე გათანაბრდა, თუმც ფეხბურთელისთვის „დინამოში“ თამაში ყველაზე უფრო რთულია, ვიდრე დანარჩენ გუნდებში — რით ახსნიდი ამას?

— „დინამოს“ ყველაზე დიდი ამბიციები აქვს და ზოგიერთ ფეხბურთელს ამიტომაც უჭირს ამ გუნდში დამკვიდრება. ვერ ვიტყოდი, რომ „დინამოს“ უკვე მოვერგე, შესაძლოა, მეც გამიჭირდეს ეს — როცა „დინამოში“ მიდიხარ, საკუთარ თავთან ცოტა სხვანაირად უნდა განეწყო, უფრო მომთხოვნი უნდა იყო.

— „სიონში“ 17 გოლი გაიტანე — როგორ გგონია, „დინამოში“ უფრო გაგიჭირდება გოლების გატანა თუ პირიქით?

— „სიონში“ და „დინამოში“ გოლების გატანას თავის პლუს-მინუსები აქვს. „დინამოში“ ის პლუსია, რომ ამ გუნდს უკეთესი შემსრულებლები ჰყავს, ხოლო „სიონში“ გოლის გატანაში ისიც მიწყობდა ხელს, რომ იქ კონკურენცია ნაკლებად იყო. თუ პირველ ტაიმს ჩააგდებდი, მეორეში იქნებ არ გამოეცვალე მწვრთნელს და გოლი შეგეგდო. „დინამოში“ კი, თუ პირველ ტაიმს ჩააგდებ, ალბათ ნაღდად გამოგცვლიან და შენს ადგილს სხვა დაიკავებს.

— ბატესთან მატჩზე რას იტყოდი?

— პირველი ტაიმი კარგად ვერ ვითამაშე, ინერტული ვიყავი და საკუთარ თავზე გავბრაზდი. თუმც ტაიმის მიწურულს გატანილმა გოლმა გამოგვაფხიზლა, ძალა ვიგრძენით და ფეხბურთის ღმერთმაც ჩვენკენ გამოიხედა.

— კონკურენცია ახსენე, თუმც ჯერჯერობით ისე ჩანს, რომ „დინამოში“ ერთადერთი ცენტრფორვარდი შენ ხარ, ლევან მელქაძე და მიხეილ კაკალაძე ფლანგებიდან უტევენ...

— ჰო, მაგრამ, თუ ეს საჭირო გახდება, ამ ფორვარდებსაც შეუძლიათ ცენტრში თამაში.

— 25 წლის ხარ და, როგორ ფიქრობ, კიდევ შეგიძლია მკვეთრად მოუმატო თამაშს?

— მაგის იმედი მაქვს, საამისოდ ჯერ გვიან არაა.

— „დინამოში“ პირველად რომ მიხვედი, მაშინ რატომ ვერ მოახერხე დამკვიდრება?

— „დინამოში“ მოხვედრა და ფეხის მოკიდება მაშინ უფრო ძნელი იყო, თანაც ბავშვი ვიყავი და ფეხბურთის თამაშის გარდა სხვა რამეებიც მინდოდა, ორივე ერთად კი არ გამოდის.

— „დინამო“ ახლა უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე წინა სეზონში იყო?

— იმედია, ასე მოხდება. ჩემპიონატში ჩვენს უმთავრეს კონკურენტად კი „თბილისს“ მივიჩნევ.

— თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ თამაში — ასეთი სინდრომი კვლავ არსებობს?

— რა თქმა უნდა, „დინამოს“ წინააღმდეგ ყველა მეტი სტიმულით, სულ სხვა განწყობით თამაშობს. „დინამოსთან“ თამაში სტიმული უფროა, ვიდრე შიში და დაძაბულობა.

— შეკრებაზე „დინამომ“ რამდენიმე ძლიერ მეტოქესთან კარგად ითამაშა, შემდეგ ბატეს სტუმრად მოუგო — ევროსარბიელზე ბატეზე უკეთეს გუნდთანაც შეუძლია „დინამოს“ წარმატებით თამაში?

— ყველაფერმა ამან დამაიმედა, რომ ბატეზე უკეთეს გუნდებსაც წარმატებით ვეთამაშებით.

დავით თავართქილაძე

გაუზვიადებელი ამბავი

ტორპედომ გამტანი დაიმატა, გამომტანი დაიკლო

„ტორპედოში“ დაბრუნებულ გია მეგრელაძეს ძველებურად გააქვს

მოსამზადებელ ეტაპზე

ოდენ მესამე საკონტროლო შეხვედრა გამართა ქუთაისის „ტორპედომ“. ამჯერად მისი მეტოქე ბულგარულ შეკრებამოვლილი ფოთის „კოლხეთი“ იყო. მატჩი საღორიის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა და საკმაოდ საინტერესოც გამოდგა. თავიდან კოლხები დაწინაურდნენ ექსტორპედოელ ზვიად ქუთათელაძის გოლით, მაგრამ პირველივე ტაიმში შოთა ბაბუნაშვილმა პენალტით გაათანაბრა.

მეორე ნახევარში გია მეგრელაძემ ულამაზესი გოლი გაიტანა, რასაც ფოთელმა დავით ნარსიამ არანაკლებ ეფექტური დარტყმით უპასუხა — 2:2. თამაშიც თითქოს ასე უნდა დასრულებულიყო, თუმც შეცვლაზე შესულმა გაგა ჩხეტიანმა „ტორპედოს“ თავურით გაამარჯვებინა.

აქვე გუნდების შემადგენლობებს გაგაცნობთ:

ტორპედო — *გ. გაბელია, მამარნიშვილი, ლ. ჭელიძე, გამეზარდაშვილი, ს. თოდუა, ნერგაძე, კოშკაძე, რევაზიშვილი, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი, მეგრელაძე.*

კოლხეთი — *ქვაჩახია, ჭითანავა, ქუტიძე, გუჩუა, გოროზია, აკობია, ქობულაძე, თაყაძე, კილასონია, ზ. ქუთათელაძე, გ. თოდუა.*

„ტორპედოში“ სიახლეებიცაა: გია მეგრელაძემ დეკემბრამდე გააფორმა კონტრაქტი; გუნდში დაბრუნდა გიორგი რევაზიშვილი; ქუთაისშია ბორის შელიაც, რომელიც შარშან გორის „დილაში“ თამაშობდა.

გაურკვეველია კაკაშვილის საკითხი: გადაჭრით ვერავინ ამბობს, დარჩება თუ არა იგი გუნდში.

ბოლოს კი „ტორპედოს“ ყველაზე დიდ დანაკარგზეც: გუნდი ძირითადი მეკარის გარეშე დარჩა — ზვიად სტურუა ქუთაისიდან წავიდა. მწვრთნელ გელა კიკალეიშვილის თქმით, სტურუას პირობებზე ვერ მორიგდნენ და ზვიადი სავარაუდოდ „ბათუმში“ გააგრძელებს კარიერას.

გია ამირანაშვილი

ქუთაისიდან

ზვიად სტურუა ქუთაისიდან აიბარგა

მოგონებანი გარდასულ დღეთა

ვისთვის ესესერი, ვისთვის ეეჰ ესერი

ზედიზედ მეორე წელია, მოსკოვში ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი ეწყობა. კიევის „დინამო“, თბილისის „დინამო“, ერევნის „არარატი“, საბჭოთა კავშირის ნაკრები, მოსკოვის ნაკრები და მასპინძელი, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — აი, ეს გუნდები მონაწილეობენ წლევანდელ ტურნირში.

თამაშები „ლოკომოტივის“ სტადიონზე 31 ივლისს და 1 აგვისტოს ჩატარდება. წილისყრა 31 ივლისს დილითაა დანიშნული, საღამოს კი მატჩებია.

ჩვენი ვეტერანები მოსკოვში 30 ივლისს გაემგზავრებიან.

ლუკა თალაკვაძე

მსაჯებმა ფიზიკა ჩააბარეს

მსაჯებმა სეზონისწინა, ტრადიციული თორმეტდღიანი ბორჯომული შეკრება დაასრულეს, თბილისში დაბრუნდნენ და გუშინ დილით „ეროვნულზე“ ნორმატივებიც ჩააბარეს. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო მსაჯების მომზადების დონით კმაყოფილი დარჩა, რაზეც ნორმატივების შედეგებიც მეტყველებს.

თემიდელები თეორიაშიც ჩააბარებენ გამოცდებს და ახალ ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შეხვდებიან.

ლუკა თალაკვაძე

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“
მწუხარებას გამოთქვამს გუნდის მწვრთნელის
ნესტორ მუმლაძის
მამის
გარდაცვალების გამო

მეორე ბუნდესლიგური ტრირის „აინტრახტი“ და მისი ათი ნომერი დავით სირაძე შინ ჯერაც არ დაბრუნებულან. ტრირელები შეკრებაზე არიან და ეს პირველი გერმანული სეზონისწინა მოსამზადებელი ეტაპია სირაძისთვის — უნინდელ გუნდ ბერლინის „უნიონში“ სირაძეს შეკრება არ გაუვლია. დათოს გუშინ შევეხმიანეთ...

სირაძის პირველი გერმანული

ძალიან დავიღალე

— ბადენ-ბადენთან ახლოს, მთიან ადგილას ვართ და ტრირში ხუთშაბათს დავბრუნდებით. საკონტროლო მატჩები ჯერ არ გვითამაშია, 28 ივლისს კი „კაიზერსლაუტერნს“ ვუმასპინძლებთ.

— სამჯერადი ვარჯიშები გვაქვს, დილით დავრბივართ, მერე კი ორჯერ ბურთით ვვარჯიშობთ. გერმანულ გუნდში შეკრებაზე პირველად ვარ და ძალიან დავიღალე, დიდი დატვირთვებია.

— ჩვენი მწვრთნელი პოლ ლინცი თითქმის ყოველდღე კრებას აწყობს და ტაქტიკურ საკითხებზე გუნდის გამოცდილ ფეხბურთელებსაც სთხოვს აზრის გამოთქმას, ყველაზე მეტად კაპიტან ჰარი კოხს ესაუბრება ამ საკითხზე.

— ლინცი ცალკეც ელაპარაკება ფეხბურთელებს. მე იმას მეუბნება, წინ უნდა ითამაშო, სულ შეტევაზე უნდა იფიქროო. ლინცი ისეთი მწვრთნელია, პრესინგიც უყვარს და შეტევაც.

დავით თავართქილაძე

ამისულაშვილი გრძნობს

მიხაილიჩენკო ლაპარაკის ხასიათზე ვერაა

უკრაინის ჩემპიონატის პირველ ტურში მარად ჩემპიონობისთვის მებრძოლნი, კიევის „დინამო“ და დონეცკის „შახტარი“ დაეჯახნენ ერთმანეთს. ამ მატჩში კვლავაც არ უთამაშია ალეკო ამისულაშვილს, ვინც ისევ ვერ მოხვდა განაცხადში.

ალეკომ „დინამოს“ სარეზერვო გუნდში ითამაშა 90 წუთი. კიეველებმა „შახტარი“ 4:0 გაანადგურეს.

გუშინ კი ჩვენებურმა უჟგოროდის „ზაკარპატიეს“ დუბლების წინააღმდეგაც სრულად ითამაშა და კიეველებმა უფრო გამანადგურებელი ანგარიშით მოიგეს — 6:1.

ნამატჩევს ამისულაშვილს კიევური ამბები გამოვკითხეთ...



— „ზაკარპატიესთან“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებმა, ვერპაკოვსკისმა და ლეკომაც ითამაშეს. ასე იოლადაც ამიტომ მოვიგეთ. ერთი კარგი მომენტი მეც მქონდა, მაგრამ თავით ოდნავ ავაცილე.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ „დინამომ“ საჩემპიონატო ოცდაორკაციან განაცხადში რომ არ ჩაგწერა?

— ამაში საპრობლემოს ვერაფერს ვხედავ. „დინამოს“ ძირითად გუნდში თამაშის უფლება მაინც მაქვს.

— საკმაო ხანია, მიხაილიჩენკოსთან ლაპარაკს აპირებ...

— ჰო, მაგრამ „შახტართან“ წაგების მერე ძალიან ცუდ ხასიათზე იყო. ახლა მომენტს შევურჩევ და სიტყვას პირველ გუნდზეც ჩამოვუგდებ.

— ხარ ამისთვის მზად?

— კარგად ვარ ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. ვგრძნობ, რომ ჩემი დროც დადგა. შარშანდელთან შედარებაც არაა, იმდენად მოვუმატე.

დავით ერაძე

სად მიდიხარ, ჯანო?

ატირაუ თუ კოლხეთი?

31 წლის თავდამსხმელს, დავით ჯანაშიას ყაზახურ „ატირაუსთან“ კონტრაქტი დეკემბრამდე აკავშირებს, თუმცა წლეულს მას ტრავმის გამო ერთხელაც არ უთამაშია.

ჯანაშია უკვე გამოჯანმრთელდა და ამ დღეებში ყაზახეთში გაემგზავრება, რათა გაარკვიოს, სურს თუ არა „ატირაუს“ მასთან კონტრაქტის შენარჩუნება. შევიტყვეთ ისიც, რომ ჯანაშიას გადაბირება სურს ფოთის „კოლხეთსაც“, სადაც დათოს ადრეც უთამაშია.

გია ამირანაშვილი

ქუთაისიდან

კარგია კარგი ცხოვრება

„ზესტაფონი“ უმაღლესლიგელია და, საქართველოში ჯერ არ მომხდარა, რომ რეგიონალლიგის გუნდს უცებ უმაღლესი ლიგისთვის გამოეკრას ხელი...

ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს ზესტაფონელთა მოლდოველი თავკაცი ვლადიმირ ზემლიანოი საუმაღლესლიგო პერსპექტივებზე...

— ჩვენი ადრინდელი საუბრის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა — „ზესტაფონი“ უკვე უმაღლესლიგელია. მზად ხართ ამისთვის?

— ამას დრო და ჩვენი თამაში გვაჩვენებს. ვიმედოვნებ, იოლად დასამარცხებელი აუტსაიდერები არ ვიქნებით, თუმცა ისიც ფაქტია, რომ გუნდი ჯერაც ჩამოსაყალიბებელია, შეთამაშება და სტაბილურობა გვაკლია. ამას ალბათ ჩემპიონატის მიმდინარეობისას მივაღწევთ.

— ადრე ისიც თქვით, რომ ამჟამინდელი კონტინგენტი ქვედა ლიგაში სათამაშოდ იყო საკმარისი, რამდენად არის მზად გუნდის ეს შემადგენლობა საუმაღლესლიგოდ?

— მას შემდეგ საბოლოოდ გადაწყდა, რომ გამოცდილი ლევან შავგულიძე ჩვენთან დარჩება. მოლდოვიდან ჩემი აღზრდილი სერგეი ნუდნიც ჩამოვიდა. თანაც, ჩვენი გუნდის ბირთვი „მცხეთას“ ბაზაზეა შექმნილი, ანუ უმეტესობას უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს.

— ნუდნი რა ამპლუის მოთამაშეა?

— გამთამაშებელია, 24 წლისაა და „შერიფში“ ჩემი ხელმძღვანელობით თამაშობდა. შემდეგ მოლდოვის უმაღლესი ლიგის კლუბებში, „ტელიგაში“ და „აგრაში“ იყო. ნუდნის პატარაობიდან ვიცნობ და კარგად ვიცი, რა შეუძლია.

— გუნდის გაძლიერება ამით მორჩა?

— ჯერჯერობით ასეა. დასაწყისისთვის ერთგვარ დაზვერვას ჩავატარებთ, ბიჭებს ბრძოლაში გამოვცდით და ამის შემდეგ მათთან ხანგრძლივ კონტრაქტებსაც გავაფორმებთ. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი ფეხბურთელების უმეტესობა თავს კარგად წარმოაჩენს. ზამთრის შესვენებისას კი ხეირიანი შეკრების შანსიც მოგვეცემა და სატრანსფერო ფანჯარასაც უფრო ნაყოფიერად გამოვიყენებთ.

— გუნდს ერთი თვეა, წვრთნით. ალბათ უკვე თქვენეული შეხედულებებიც გაგაჩნიათ გუნდის სუსტ და ძლიერ რგოლებზე...

— ახლა ნამდვილად ვერ გამოვარჩევ რომელიმე რგოლს. თუმცა... სხვებზე მეტად ჩემს მოთხოვნებს თავდამსხმელები აკმაყოფილებენ. ფაქტობრივად, თითო გამოცდილი მოთამაშე ყველა რგოლში გვყავს და ეს მახარებს. საერთოდ კი, „ზესტაფონი“ ახალგაზრდული გუნდია.

— რით გამოირჩევიან ხოლმე თქვენი გუნდები?

— დისციპლინით და სათამაშო ორგანიზაციით. დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები ალბათ არც აქ მექნება.

— კაპიტანი უკვე დანიშნეთ?

— ორ-სამ დღეში გუნდის კრებაზე ფეხბურთელები ფარული კენჭისყრით თავად აირჩევენ კაპიტანს.

— კლუბის ხელმძღვანელობა თქვენც დაგეკითხებოდათ, ღირდა თუ არა უმაღლეს ლიგაში თამაში...

— კლუბის პრეზიდენტთან ამის თაობაზე ლაპარაკი მართლაც მქონდა. მე ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და შესაძლოა, ჩემმა ასეთმა განწყობამ კლუბის პრეზიდენტი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშს შევძლებდით.

— თქვენთან, მოლდოვაში თუ მომხდარა, რომ უმაღლესლიგელი გუნდი ქვედალიგელით ჩაენაცვლებინოთ?

— იყო ასეთი შემთხვევა. ფინანსურად გაჭირვებული „კონსტრუქტორული“ „ტირასპოლით“ ჩაანაცვლეს. „ტირასპოლმა“ კი იმდენი მოახერხა, რომ ახლა უეფას თასზე თამაშობს და პირველ მატჩში სომხური „შირაკი“ დაამარცხა.

— „ზესტაფონის“ მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება?

— ასე გადაჭრით ჩვენგან არავის არაფერი მოუთხოვია. ახლა შეთამაშებისთვის დრო დაგვჭირდება, ამასობაში კი ბიჭებს და ჩემპიონატსაც უკეთ გავიცნობ. თანაც, როგორც გითხარით, ზამთრის შესვენების იმედი მაქვს, ვნახოთ, როგორ გავძლიერდებით...

— ზესტაფონში სტადიონის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. როდის ითამაშებს თქვენი გუნდი შინ?

— ერთი კვირის წინ ვიყავი ზესტაფონში და ვნახე, როგორ მიდის საქმე. ძალიან რომ მოგვენდომებინა, პირველი ტურის მატჩის ჩატარებასაც მოვასწრებდით, მაგრამ საქმის საზიანოდ ამის გაკეთება არ ღირდა. მეორე ტურის მატჩს კი უპრობლემოდ ვუმასპინძლებთ. იმედი მაქვს, „ზესტაფონს“ ერთგული გულშემატკივარი არ მოაკლდება.

დავით ერაძე



ადრიანო გალიანის კარლო ანჩელოტი ოთხკაციან დაცვას დაპირდა

იაპ სტამმა კახა კალაძეს, შესაძლოა, ადგილი დაჟარგვინოს

ანჩელოტიმ დაცვა დაალაგა

ჯალაძის ადგილი ჯერჯერობით სტამზე ჩანს

„მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ჰოლანდიელი იაპ სტამის ყიდვის შემდეგ მომავალი სეზონისთვის მოფიქრებულ დაცვით სისტემაზე ალაპარაკდა

საქმე ის გახლავთ, რომ იყო ვარაუდი, თითქოს ანჩელოტი სამკაციან დაცვაზე გადავიდოდა. მართლაც, პაოლო მალდინის, ალესანდრო ნესტას და ზედ დამატებული სტამის ოსტატობა ამის საშუალებას იძლევა, მაგრამ ტაქტიკოსმა კატეგორიულად განაცხადა, რომ „მილანისთვის“ ზედგამოჭრილი დაცვა ოთხკაციანია და ის სწორედ ამ სისტემას უერთგულებს.

„სამი მცველით თამაშს გამოვრიცხავ, რადგან ასეთ შემთხვევაში ნახევარდაცვას ან ჯენარო გატუზო უნდა მოვაკლო ან კლარენს ზეედორფი — განმარტა ანჩელოტიმ — „მილანის“ თამაში ამ ორი ფეხბურთელის გარეშე გამორიცხულია, ასე რომ, ამ თემას არც განვიხილავ, გარდა ამისა, კაფუ მოედნის შუაში ვერ წარმომიდგენია. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ის მარჯვენა მცველია“.

გარდა ამისა, „მილანის“ თავკაცმა უარყო ხმები, თითქოს ის იაპ სტამს მარცხნივ გადასწევდა.

„სტამს მარცხენა მცველად ვერ აღვიქვამ“— თქვა ანჩელოტიმ, რომელიც, როგორც ჩანს, ცენტრალურ მცველებს შეცვლის ხოლმე. ხანდახან შესაძლოა სტამი კაფუს ადგილზეც გადასწიოს, ხოლო მალდინი მარცხნივ გაუშვას.

ხოლო „მილანის“ დაცვა ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც საქართველოს ნაკრებს სჭირდება მისმა ფეხბურთელმა, კახა კალაძემ ხშირად ითამაშოს, თორემ ისიც თუ სკამზე ჩამოჯდა, მდგომარეობა სერიოზულად გართულდება.

პაპუნა კედია

ითამაშეთ!

ლოტიტო ლაციოში ფულით, იმედით და ძოფით მივიდა

„ლაციოს“ სერია A-ში მოხვედრა-ვერმოხვედრის პრობლემას რომელი ბიზნესმენი კლაუდიო ლოტიტო მოუგვარებს. ივი კლუბს 21 მილიონ ევროს აძლევს და ამის სანაცვლოდ აქციათა 30 პროცენტს ითხოვს. ერთი სიტყვით, „ლაციოს“ პრეზიდენტმა, უგო ლონგომ ლოტიტოს ხელი ხელს დაუკრა და საქმეც მოგვარდა, თორემ, მოგეხსენებათ, იტალიაში გუნდი სერია A-დან მხოლოდ ცუდი თამაშისთვის კი არა, შეიძლება უფულობისთვისაც დაიფრინონ.

„ეს სწორედ ის გახლდათ, რასაც ველოდით — განაცხადა ლონგომ — ამ თანხით მომავალ სეზონშიც სერია A-ში ვითამაშებთ. ლოტიტოს დახმარებამ და მონაწილეობამ კლუბის მომავალი უზრუნველყო. ლოტიტო სერიოზული მეწარმეა და ეჭვი არ არის, მისი წყალობით „ლაციოს“ ჩინებული პერიოდი დაუდგება. მართალია, ჯერ უამრავი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ დღეს პირველი დიდი ნაბიჯი გადაიდგა“.

მოგეხსენებათ, ფინანსური კრიზისით შეჭირვებული „ლაციო“ ერთი ხანია, ფეხბურთელებს ჰყიდის და ვალების დაფარვას ისე ცდილობს, ახლა კი ლოტიტოს წყალობით შესაძლოა, ცოტა ამოისუნთქოს.

და, რაკიღა სერია B-ში თამაშის საქმე მოგვარებულია, ბუნებრივია, მწვრთნელის საკითხი წამოიჭრა. მოგეხსენებათ, „ლაციოს“ ხელმძღვანელი, რობერტო მანჩინი „ინტერში“ გადავიდა, ხოლო მისი ადგილი ვაკანტურია. სავარაუდოდ, ამ თანამდებობას გუნდის ყოფილი მწვრთნელი და პრეზიდენტი დინო ძოფი დაიკავებს.

„ამ საკითხს დღეს-ხვალ განვიხილავთ — განაცხადა თავად ლოტიტომ — დღეს, როდესაც ძალიან ჩახლართული მდგომარეობის განმუხტვის და გამოსწორების დასაწყისში ვართ, დიდი კონსოლიდაცია გვჭირდება. ჩვენი პირველი ამოცანა ეკონომიკურად გაჭირვებული კლუბის ცხოვრების დაბალანსებაა, ხოლო შემდეგ ახალ ინვესტიციებს გამოვნახავთ“.

შემდეგ რომაელმა ბიზნესმენმა მომავალს შეხედა იმედის თვალით:

„დღეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი დღეთაგანია, ვიცი, რომ საქმე, რომელსაც შევეჭიდე, უძნელესია, მაგრამ მზად ვარ, გამოწვევა მივიღო.“

სამაგიეროდ, ცუდ დღეში არიან „რევჯინა“ და „სიენა“, ისინი ვერა და ვერ ახერხებენ შესაბამისი, გამართული დოკუმენტაციის მოგროვებას და სადაც ჯერ არს წარდგენას. საინტერესოა, რომ ბოლო ვადა წესით გუშინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იტალიური ჩემპიონატის პატრონები ხუთშაბათამდე აცლიან.

მძიმე მდგომარეობაა სერია B-შიც. გუშინდელ ბოლო ვადას ვერაფერი მოუხერხეს „ანკონამ“, „ნაპოლიმ“, „ტორინომ“ და „ვერონამ“. ეს გუნდები შეიძლება სერია B-დან დაიფრინონ. ამბობენ, რომ ხუთშაბათამდე ზოგი შეიძლება გამოძვრეს მდგომარეობიდან, „ანკონას“ და „ნაპოლის“ საქმე კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არის.

პაპუნა კედია

ჟურისმაძიებელი დელ პიერო

ჩუმად აღარ ვიქნები

ალესანდრო დელ პიეროს ახალი სეზონის დაწყება კრიტიკოსთა თავდასხმების მოგერიებით უწევს. როგორც ჩანს, გასული სეზონის ჩაგდებისთვის მის წილ ძალიან ბევრი მკვახე სიტყვა ითქვა და ფეხბურთელმა ჩათვალა, რომ დროა, ხმა ამოიღოს.

„ხანდახან მგონია, რომ პრესატელევიზიამ ჩემზე შემოხტომა და გაჭენება განიზრახა, მე კი ჩემს შესახებ გაწონასწორებული მსჯელობა მჭირდება. ერთი სიტყვით, კრიტიკაზე პასუხის გაცემის დრო მოვიდა. საერთოდაც, თუ ამიერიდან ვინმე თავს დამესხმება, მომავალში პასუხს მიიღებს. მე ალესანდრო დელ პიერო მქვია და ეს სულ არ ნიშნავს, რომ ჩემი ყოველი შეცდომა განსაკუთრებული მსჯელობის და კრიტიკის საგანი უნდა გახდეს. მოკლედ, ამ სეზონში ჩუმად აღარ ვიქნები“.

გავიხსენოთ: „იუვენტუსს“, ჯერ ცუდი თამაშის და შემდეგ ტრავმის გამო, დელ პიერომ მთელი გასული სეზონის განმავლობაში ვერაფერი არგო, ხოლო შემდეგ პორტუგალიაში, ევრო 2004-ზე წავიდა და იქაც საკმაოდ უსახურად ითამაშა.

„გულში დიდი შურისძიების სურვილი მიტრიალებს. ჩვენ ვერც „იუვენტუსში“ მოვიგეთ რაიმე ტიტული და პორტუგალიაშიც ხელი მოგვეცარა. მინდა ამ იმედგაცრუებას ბოლო მოეღოს“ — თქვა თავდამსხმელმა.

დელ პიერო დიდი ხანი არ არის, რაც შვებულებიდან დაბრუნდა და ტურინული გუნდის სხვა წევრებს შეუერთდა. ახლა „იუვენტუსი“, მოგეხსენებათ, ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით ემზადება.

„მისი ჩვენს მწვრთნელად გადმოყვანა დიდი სიურპრიზი იყო, მან ხომ „რომაში“ ამდენი წელიწადი გაატარა და უზარმაზარი სამუშაო გასწია, მაგრამ რაც მოხდა, დიდებულია. მის ხელში ჩვენ ამ სეზონში კვლავ სკუდეტოს მთავარი მაძიებლები ვიქნებით“.

და დელ პიერო ძალიან გახარებული იყო იმითაც, რომ დავიდ ტრეზეგე, რომელიც თითქოს ამ ზაფხულს გუნდიდან უნდა წასულიყო, ისევ ტურინში ითამაშებს.

„ნამდვილად არ ველოდი ტრეზეგე ისევ აქ თუ დამხვდებოდა. კიდევ, მეგონა, რომ ორ ან სამ ახალ ფეხბურთელს შევიძენდით. რაც შეეხება ემერსონს, იმედი მაქვს, რომ ყველაფრის მიუხედავად, ტურინში ჩამოვა“ — დასძინა ვარსკვლავმა.

პაპუნა კედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლტონს სპიდი შეეყარა
ნიკი ბათი კაჭკაჭების ბუდეში



გარი სპიდი

ნიკი ბათი

გარი სპიდი „ნიუკასლიდან“ „ბოლტონში“ გადავიდა. 35 წლის უელსელმა ახალ გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„გაგვიმართლა, რადგან სხვა პრემიერლიგურ კლუბებსაც სურდათ მისი წაყვანა, მან კი ჩვენთან გადმოსვლა არჩია“ — თქვა „ბოლტონის“- მწვრთნელმა სემ ალარდაისმა.

უელსელის აგენტი ჰეიდენ ევანსი: „სპიდს „ნიუკასლთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა, მაგრამ ბევრი მსურველი გამოუჩნდა და თავად „ბოლტონში“ გადაბარგება გადაწყვიტა“.

გარი სპიდის წასვლით „ნიუკასლში“ ადგილი გათავისუფლდა, რომელსაც სავარაუდოდ, „მანჩესტერელი“ ნიკი ბათი შეავსებს. მან „ოლდ ტრეფორდზე“ 12 წელი გაატარა და გასული სეზონის ბოლოს გუნდიდან გაშვება ითხოვა, რადგან ძირითად შემადგენლობას გაუუცხოვდა.

ბობი რობსონი „მანჩესტერს“ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაუკავშირდა ბათის თაობაზე და ახლა ალბათ ეს საქმე საბოლოოდ მოგვარდება — ბათი „კაჭკაჭების“ მაისურას მოირგებს.

ვაჟა ხუციშვილი

იქ ყველაფერი ახარებს
კანტონა ინგლისის და მანჩესტერის ელჩია



„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და საფრანგეთის ნაკრების ყოფილი დიდვარსკვლავი ერიკ კანტონა ინგლისური ფეხბურთის ქომაგია, ფრანგულის მიმართ კი ძალიან გულგრილი გახლავთ.

38 წლის უცნაური და კონფლიქტური კანტონა, რომელსაც 90-იან წლებში „მანჩესტერში“ ეთაყვანებოდნენ, ამბობს, რომ დღემდე აკვირდება ინგლისური ფეხბურთის ყოველ წვრილმანს.

„არა, ფრანგული ფეხბურთისა კი საერთოდ არაფერი მაინტერესებს — განუცხადა კანტონამ ჰონკონგელ ჟურნალისტებს, რომელთაც საფრანგეთის ნაკრების ევრო 2004-დან ადრეული გავარდნის შესახებ ჰკითხეს — არანაირი გრძნობა არ მაქვს ამასთან დაკავშირებით. ფრანგული ფეხბურთს თავისი გზა აქვს, მე კი ჩემი.

ჩვენ ფეხბურთისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება, სხვადასხვა ფილოსოფია გვაქვს. ჩვენი ერთად მუშაობა გამორიცხულია და სულ ეს არის“.

საგულისხმოა, რომ ერიკ კანტონამ — რომელიც, სხვათა შორის, თავის დროზე საფრანგეთის ნაკრებიდან ცივად მოიშორეს — ამ ქვეყნის სახელით 45 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 19 გოლი გაიტანა.

„დღემდე თავს ინგლისელი ფეხბურთელების ახლობლად ვთვლი. ინგლისური სისტემა და ქომაგობა ჩემთვის ახლოა. იქაურ ფანებს ნამდვილად უყვართ ფეხბურთი და მეც ნამდვილად მიყვარს ის. ინგლისში ფეხბურთი ნამდვილად უყვართ ფეხბურთელებს და კლუბებსაც. აქ ყველა გუნდი დიდი და ყველა მატჩი დიდებული“ — თქვა ფრანგმა, რომელიც ჰონკონგში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალი სკოლის გასახსნელად გახლდათ ჩასული.

პაპუნა ძედია

მილანმა ლივერპულს ომი გამოუცხადა

ევრო 2004-ის ბომბარდირ მილან ბაროშს „ლივერპულიდან“ წასვლა არ სურს. ჩეხი მზადაა, ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად თავი არ დაზოგოს

„გავიგე, რომ ჩემს აგენტს მადრიდის „რეალის“ და „ბარსელონას“ ემისრები ესაუბრნენ, რაც ფრიად სასიამოვნოა, რაკი ასეთი დიდი კლუბები დავაინტერესე, მაგრამ აქაურობის დატოვებას არ ვაპირებ. ახალი სეზონისთვის ვემზადები და ძირითად თერთმეტეულში დამკვიდრებას ვეცდები. „ლივერპულში“ ორწელიწადნახევარი გავატარე. სირთულეები უკან დარჩა, ახლა კი უკეთეს მომავალს ველი. ვიცი — დიდი კონკურენციაა, რადგან ჯიბრილ სისეს და მაიკლ ოუენს უნდა შევეჯიბრო, მაგრამ თავს არ დავზოგავ, რომ ჩემი შანსი გამოვიყენო“.

ვაჟა ხუციშვილი

რებროვი ლონდონში ჩაქუჩობს

უკრაინელი სერგეი რებროვი „ვესტ ჰემთან“ ვარჯიშობს. წელიწადნახევრის წინ „ტოტენჰემმა“ იგი „ფენერბაჰჩეს“ დროებით დაუთმო, მაგრამ რებროვს თურქეთი მოსწყინდა და ინგლისში დაბრუნდა.

ფეხბურთელის აგენტმა შანდორ ვარგამ ლონდონში მისი კლიენტის დარჩენის პერსპექტივაზე ილაპარაკა: „პრემიერლიგაში თამაში თავად მოინდომა. გუნდთან ერთად უკვე ორჯერ ივარჯიშა და რამდენიმე დღეში გავარკვევთ, სურს თუ არა „ვესტ ჰემს“ რებროვის დატოვება. აქ არის ყოფილი ტოტენჰემელი ტედი შერინგემი და რებროვს მის მხარდამხარ უთამაშია. „ფენერბაჰჩედან“ დაბრუნებულს „ტოტენჰემის“ ბოსებმა სხვა გუნდის მოძებნა ურჩიეს, რადგან ჟაკ სანტინი უარით გამოისტუმრა, რებროვი ამით ნაწყენი დარჩა. „ვესტ ჰემში“ ტრანსფერი თუ არ გამოვიდა, სხვა ვარიანტებიც გვაქვს“.

ვაჟა ხუციშვილი

ბექჰი ვერ დაწვეს

დევიდ ბექემის ჰესთფორდშირის მამულის ტერიტორიაზე მცველებმა დააკავეს კაცი, რომელსაც ბენზინით სავსე ბალონი ეჭირა. პოლიცია ვერტმფრენით დაეშვა მინდორზე და 38 წლის „ტერორისტი“ განყოფილებაში გააქანა. როგორც გაირკვა, მას ბექემიანთ ვილის დაზიანება ჰქონდა მიზნად.

შინ იყვნენ ვიქტორია და ორივე შვილი, თავად ბექჰი კი ესპანეთშია სავარჯიშოდ.

კაცი შვიდი ფუტის სიმაღლის კედელზე გადამძვრალა ახალშეღამებულზე და შენობისკენ მიიწევდა.

ანი რა მოხდება, ძნელი გასარკვევია. ცხადია, გამოიძიებენ.

ახალი მუსიკოსები ბრემენში

დანიელ იენსენი

ბრემენის „ვერდერმა" დანიელი ნახევარმცველი დანიელ იენსენი და ფინელი მცველი პეტრი პასანენი შეიძინა.

იენსენი შარშან ესპანურ „მურსიაში" თამაშობდა, რომელიც პრემიერდივიზიონიდან დაქვეითდა, ხოლო პასანენი ამსტერდამის „აიაქსს" „პორტსმუთიდან" ერთი სეზონით ჰყავდა წაყვანილი.

„ვერდერმა" ნახევარმცველი მანუელ ფრიედრიხი ბუნდესლიგაში ალზევებულ „მაინცს" მიჰყიდა და მიღებული ფულით ორი ახალი ფეხბურთელის შეძენა მოახერხა. იენსენს და პასანენს კლუბმა ოთხ-ოთხწლიანი კონტრაქტები გაუფორმა.

25 წლის დანიელმა ევროპის გასულ ჩემპიონატზე ითამაშა. ბრემენელთა სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა მასზე თქვა: „იენსენი საკმაოდ გამოცდილია და პორტუგალიაში კარგად გამოიყურებოდა". პასანენი კი ასე დაახასიათა: „ფინეთის 21-წლამდელთა ნაკრებში შევაჩნიეთ და დიდხანს ვაკვირდებოდით. რამდენიმე პოზიციაზე თანაბრად თამაში შეუძლია. ძალიან წაგვადგება".

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს „ვერდერში" უკვე გადავიდნენ მიროსლავ კლოზე, ფრანკ ფარენჰორსტი და გუსტავო ნერი.

ვაჟა ხუციშვილი

ანდრეიმ პაზიკი გაიფორმა
შევჩენკოს ქორწ-კონფერენცია

„მილანის" 27 წლის უკრაინელი სუპერფორვარდი ანდრეი შევჩენკო დაოჯახდა – გვამცნობს გუშინდელი იტალიური „გაძეტა დელო სპორტი" და განაგრძობს – „შევა" ამერიკელ მოდელ კრისტენ პაზიკზე დაქორწინდა, ქორწილი ერთი კვირის წინ, 14 ივლისს ვაშინგტონში გადაიხადეს, ახალშეუღლებული წყვილი კი შვილს ნოემბერში ელის

ეს იყო და, მილანელოში მოვარჯიშე შევჩენკოს ცნობისმოყვარე ჟურნალისტების არმია მიადგა, ყველაფერი მოგვიყევიო. რა ჩარა იყო, უკრაინელმაც ნავარჯიშევს სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა, ცხადია, ილაპარაკა ფეხბურთზე და „მილანის" გეგმებზე.

„შევბულება ამერიკაში კრისტენთან ერთად გავატარე, დაოჯახებაც იქვე, მაიამიზე გადავწყვიტეთ. ორივე ძალიან ბედნიერები ვართ" — დაიწყო ანდრეიმ და იქვე კითხვაც მიაყოლეს, ეგ ამბავი, აქამდე რად არ გაახმაურეთო. შევჩენკოს, ცოტა არ იყოს, მორცხვადაც უთქვამს. „მართალია, ოჯახის შექმნა ძალიან საპასუხისმგებლო ამბავია, მაგრამ დიდადაც არ გვსურდა მისი გახმაურებაო".

შევჩენკოს არ დაუკონკრეტებია, ვინ იყვნენ მიწვეულ სტუმართა შორის, თუმც ჟურნალისტებს მაინც გამოუქექიათ, სულ ცოტა, 500-მდე კაცი იყოო. მერე კი კითხვები „მილანის" გარშემო იყო. უკრაინელმა თქვა: „ახლა იმდენად გავძლიერდით, ყველაფერი უნდა მოვიგოთ, პირველი სამიზნე კი იტალიის სუპერთასია. ხუთი წელია, რაც „მილანის" ფეხბურთელი ვარ და ეგ ტიტული არ მომიგია. პირველსავე წელს „პარმასთან" დავმარცხდით, მერე „იუვენტუსთან", ახლა კი მსურს, „ლაციოს" აუცილებლად მოვუგოთ".

„როსონერის" ბომბარდირმა კი თქვა, ყველაფრის მოგება გვსურსო, მაგრამ მისი თქმით, წეულს უმთავრესი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იქნება: „მანჩესტერული ფინალი, რა თქმა უნდა, ახლაც თავში მიტრიალებს. მინდა, კვლავაც მაშინდელი სიამოვნება განვიცადო".

კითხვები ერნან კრესპოს ტრანსფერთან დაკავშირებითაც იყო და იმაზეც, თუ რომელი გუნდები შეეცილებიან ახალ სეზონში „მილანს" სკუდეტოსო. კრესპოზე შევჩენომ თქვა: „ვინც გუნდში მოდის, ყველას მივესალმებით. თქმა არ უნდა, კრესპო მაგარი ფორვარდია და ჩვენი თავდასხმა ახლა უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე შარშან. მისი მოსვლით კონკურენციაც მეტი იქნება და მოტივაციაც. ოთხი ფორვარდიდან ვის დააყენებს კარლო ანჩელოტი ძირითადში, არ ვიცი. ალბათ, ვინც კონკრეტული მატჩისთვის იქნება მზად, იმას. რაც შეეხება მეტოქეებს, ჩემპიონობისთვის ალბათ სამი გუნდი იბრძოლებს, „მილანი", „იუვენტუსი" და „ინტერი". ორივე ძალიან გაძლიერდა, თუნდაც კაპელოს, დავიდსის და ვერონის ხსენება რად ღირს".

გიორგი ვაშაკიძე

კლუივერტი რობსონს ყიდვით ათხოვეს



პატრიკ კლუივერტი „ბარსელონადან" ბობი რობსონის „ნიუკასლში" მიდის. ამრიგად, კატალონიელთა ერთ დროს ფასდაუდებელი ფორვარდის სატრანსფერო საქმე დასასრულს უახლოვდება და კლუივერტიც მომავალ სეზონში „კამპ ნოუდან" ჩრდილოინგლისურ „სენტ ჯეიმს პარკზე" გადაინაცვლებს. არადა, როდესაც ერთი წლის წინ „ნიუკასლი" „ბარსას" პატრიკის შესაძენად დაუკავშირდა, თავად ჰოლანდიელმა იუკადრისა ბრიტანელთა პერიფერიულ გუნდში წასვლა — „ნიუკასლში" თამაში არ მინდა. იქ არ არ გადავალ — განაცხადა მაშინ კლუივერტმა.

საქმე ისაა, რომ ფეხბურთელს პრემიერლიგაში ბურთაობა ყოველთვის ხიბლავდა, მაგრამ პატრიკის აზრით, ინგლისის ჩემპიონატში მისი გადასვლა ოდენ პრესტიჟული ლონდონური კლუბების — „არსენალის" ან „ჩელსის" შემადგენლობაში უნდა მომხდარიყო. დღეს კი ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ჰოლანდიელი პრემიერლიგაში კი მიდის, ოღონდ „ნიუკასლის" შავ-თეთრ მაისურას მოირგებს.

თუმც უნდა შევნიშნოთ, რომ ჰოლანდიელს კატალონიელები იჯარის წესით თმობენ. ერთი წლის მერე კი, როდესაც კლუივერტს „ბარსასთან" კონტრაქტი დაუმთავრდება, ინგლისელები მასთან 2 სეზონიან ხელშეკრულებას გააფორმებენ.

„სენტ ჯეიმს პარკზე" ჰოლანდიელი ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ითამაშებს. იქაურთა სახელგანთქმულმა ალან შირერმა ხომ უკვე საჯაროდ გამოაცხადა, ეს სეზონი „ნიუკასლში" ჩემთვის ბოლოაო.

ლადო ხომერიკი

ვალენსია იტალიანო
ჩინკვე დი ვაიო მესტალიაზე

ერთი, ორი, სამი... რომ დავითვალოთ, ხუთამდე ავალთ, მაგრამ ჩვენი საქმე დათვლა ნამდვილად არაა.

ჩვენ კი გეტყვით, რომ გუშინ იტალიელი თავდამსხმელი მარკო დი ვაიო ესპანეთის ჩემპიონ „ვალენსიაში" გადავიდა.

ხუთამდე დათვლა კი, აი, აქ დაგვჭირდება: მცველი ამადეო კარბონი, მწვრთნელი კლაუდიო რანიერი, ცოტა ხნის წინ გადაბარგებულნი — სტეფანეო ფიორე და ბერნარდო კორადო და ახლა დი ვაიოც. ეს ხუთი იტალიელი ესპანური პრიმერას ახალ სეზონში სწორედ „ვალენსიასთვის" გაირჯება.

ერთი სიტყვით, ყველაფერი გუშინ გადაწყდა: მარკო დი ვაიომ ტურინის „იუვენტუსთან" კონტრაქტი გაწყვიტა. ცხადია, „იუვეს" ბოსებს ფორვარდი უფულოდ არ გაუშვიათ, ესპანეთის ჩემპიონებმა „ბებერ ქალბატონს" 11,5 მილიონი ევრო ჩაუთვალეს.

მარკო დი ვაიომ „ვალენსიასთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გიორგი ვაშაკიძე

რაც ვიცით, ბევრმა არ იცის

„ფიგერესთან“ საკონტროლო მატჩი საამსეზონო სამზადისში მყოფმა კატალონიურმა „ბარსელონამ“ 2:1 კი მოიგო, მაგრამ კარსმომდგარი პრიმერა-დივიზიონის წინ უსიამოვნო ამბავიც შეემთხვა — ტიაგო მოტა და ხერარდ ლოპესი დაუშავდა. გუნდის ექიმები კი ირწმუნებიან, ორივეს მალე ფეხზე დავაყენებთო და ეს საქმე ფრანკ რაიკარდისთვის ფრიად საშური რამაა. საქმე ისაა, რომ „ბარსელონადან“ ფილიპ კოკუსა და ედგარ დავიდსის წასვლის მერე გუნდში საყრდენობა სწორედ მოტას და ხერარდს უნდა ეკისრათ (თუ მანამდე ხუან ლაპორტამ პორტუგალიელი მანიშე არ გადაიბირა). ესეც რომ არა, ბრაზილიელი მოტა, რომელიც 16 წლისა იყო, კატალონიელთა სკაუტებმა „კამპ ნოუზე“ რომ მიიყვანეს, რაიკარდის ახალი გუნდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთამაშედ ყალიბდება. ქვემოთ სწორედ მასთან გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც კლუბის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და ზემოხსენებულ ტრავმამდეა ჩაწერილი.

როგორ არ უნდა ითამაშო: ასწავლა რაიკარდმა ტიაგო მოტას

— ახალ სეზონში დიდი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ და გამორჩეული ყურადღების ცენტრშიც მოექცევით.

— ვიცი, თუმც მშვიდად ვარ. დიდი ხანია, გუნდში ვითამაშობ და კლუბის ფილოსოფიაც კარგად შევისწავლე. „ბარსელონასგან“ ახლა ძალიან ბევრს ელიან, ჩვენც უნდა ვაკეთოთ ის, რაც ვიცით და რაც ვიცით, მერწმუნეთ, ბევრმა არ იცის. ეს „ბარსას“ უპირატესობაა.

— ახალ სეზონში ფრანკ რაიკარდი მოედნის ცენტრს ალბათ თქვენ ჩაგაბარებთ. რას ნიშნავს თქვენთვის მწვრთნელის ასეთი ნდობა?

— ეს ღირსების საქმეა. რაიკარდი ბევრს გვასწავლის და ბევრსაც ითხოვს ჩვენგან. მე უბრალოდ, უფლება არ მაქვს, მისი ნდობა არ გავამართლო.

— საამისოდ სტაბილურად თამაშია საჭირო...

— გეთანხმებით, მსურს ყველა მატჩში მაღალ დონეზე ვითამაშო, ეს გუნდისთვისაც სასარგებლო იქნება. ამის კარგი მაგალითი „ვალენსიაა“, რომელმაც სწორედ სტაბილური თამაშით უწია წინა სეზონში პრიმერას ჩემპიონობას.

— რაიკარდი მოედნის ცენტრში განსაკუთრებულ როლს გიმზადებთ, ალალად გვითხარით, რატომ აგირჩიათ მწვრთნელმა თქვენ? რით გამოირჩევით სხვებისგან?

— ჩემი უპირატესობა ისაა, რომ მეტოქის შეტევის ჩაშლაც მეხერხება და კონტრშეტევის წამოწყებაც. ერთ დროს გამთამაშებლადაც ვითამაშე, თუმც ახალ სეზონში უფრო საკუთარი საჯარიმოს მისადგომების დაცვა დამევალება.

— ახალშეძენილი ფეხბურთელებით თუ ვიმსჯელებთ, „ბარსელონა“ კვლავ იბრუნებს შემტევი გუნდის სახეს...

— მერე ეს ცუდია? შეტევა ხომ „ბარსას“ ფილოსოფიაა, ასე იყო ყოველთვის.

— შემტევი და მკვეთრად ბრაზილიური...

— ჰო, უკვე ხუთმა ბრაზილიელმა მოვიყარეთ თავი. ჩვენ, ბრაზილიელებს ხალისი, იუმორი და ერთიანობა გვახასიათებს და ეს თვისებები „ბარსას“ წაადგება. თან არ დაგავიწყდეთ, ხუთივე ძალიან კარგი ფეხბურთელი ვართ.

— რაიკარდმა ამასწინათ თქვა, რომ მან შექმნა კონკურენტუნარიანი გუნდი, რომელსაც დიდი გამარჯვებისთვის ბრძოლა შეუძლია. რა არის თქვენი საახალსეზონო მიზნები?

— ერთი ტიტული მაინც უნდა მოვიგოთ. გუნდისთვის ყოველი მატჩი ფინალის ტოლფასი უნდა გახდეს, მხოლოდ ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება ჯილდოებზე ფიქრი.

— გვითხარით, რა ისწავლეთ „ბარსელონაში“?

— ალბათ გაგიკვირდებათ — როგორ არ უნდა ვითამაშო! რექსაჩის, ვან გაალის, ანტიჩის დროს ყოველთვის ძირითადში ვიყავი, რაიკარდმა კი პირველივე შეცდომისთანავე სათადარიგოთა სკამზე დამსვა — იქიდან დანახულმა და შეფასებულმა თამაშებმა კი ჩემი შეცდომები ხელის გულზე დამილაგა.

— „ბარსას“ ახალწვეულებზეც ვთქვათ...

— კარგი ადამიანები და, რაც მთავარია, კარგი ფეხბურთელები არიან, სილვინიოს კარგა ხანია ვიცნობ, არც ბელეტია უცხო, ჟიულისთან დაახლოება მინდა, მაგრამ ჯერ არ გამომდის, ლუდოვიკი მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობს — მოედანზე კი ერთმანეთის მშვენივრად გვესმის.

— ჰენრიკ ლარსონი კი შეიძინეთ, მაგრამ პატრიკ კლუივერტი მიდის, ლაპარაკია სამუელ ეტოოსა და ლუის ფაბიანოს „ბარსელონაში“ გადმოყვანაზე. თქვენ რომელს აირჩევდით?

— ორივე გამოადგება გუნდს, თუმც სატრანსფერო საქმეები მწვრთნელთა შტაბის და კლუბის თავკაცობის გადასაწყვეტია.

— არგენტინელ მცველ მილიტოზე რას გვეტყვით?

— მხოლოდ კარგს. გავიხსენოთ, რომ წინა სეზონში „სარაგოსას“ შემადგენლობაში ესპანეთის თასი თვით მადრიდის „რეალს“ მოუგო. თუმც ერთს კი ვიტყვი, „ბარსელონაში“ ვინც მოვა, ჯერ გუნდზე უნდა იფიქროს და მერე საკუთარ თავზე.

„ფიგერესთან“ მატჩში ტიაგო მოტამ მოედანი ექიმის დახმარებით დატოვა

ფრანგული „მარსელის“ ფორვარდ აჰმედ ჰოსამ მიდოს გადაბირება ერთბაშად ოთხ ინგლისურ კლუბს სურს — „მანჩესტერ სიტის“, „საუთჰემპტონს“, „ფულემსა“ და „ნიუკასლს“. ფავორიტი კი კევინ კიგანის „სიტია“. პრემიერლიგაში გადასვლა თავად მიდოსაც სურს, მაგრამ „მარსელი“ მის განათხოვრებას არ თანხმდება და ეგვიპტელის სანაცვლოდ საკმაოდ დიდ ფულს ითხოვს.

ბერძენ მცველ ტრაიანოს დელასის აგენტ სტეფანო ანტონელის თქმით, მისი კლიენტი, მიუხედავად არაერთი სარფიანი წინადადებისა, „რომას“ დატოვებას არ აპირებს. თუმც როგორც ამბობენ, რომაელთა ხელმძღვანელობას სხვა გეგმები აქვს: ლონდონური „ჩელსი“ დელასში 2,5 მილიონ ევროს იხდის, ფინანსურ კრიზისში მყოფი იტალიელებიც მცველის გაყიდვაზე ყაბულს არიან, თუმც უფრო დიდი თანხის სანაცვლოდ.

ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენი“ ორი ლეგიონერით გაძლიერდა: კლუბიდან წასული არიენ რობენის შემცვლელად აშშ-ის ნაკრების ნახევარმცველი დამარკუს ბესლი შეიგულეს. 22 წლის ფეხბურთელთან კონტრაქტი მომავალ კვირაში გაფორმდება. ჰოლანდიელებმა ბრაზილიური „კრუზეიროს“ აწ უკვე ყოფილ მეკარე სილვიო გომეშთანაც გააფორმეს ოთხწლიანი კონტრაქტი.

იტალიურმა „ბოლონიამ“ ფლორენციის „ფიორენტინას“ მიბაძა და 37 წლის რობერტო ბაჯოს გუნდში დაბრუნება შესთავაზა. „თუ რობი ფეხბურთიდან წასვლას გადაიფიქრებს, დაუყოვნებლივ შევთავაზებთ კონტრაქტს, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება. ხოლო გულშემატკივრებისთვის და კლუბის თავკაც კარლო მაცონესთვის საჩუქარი“ — განაცხადა „ბოლონიას“ პრეზიდენტმა ჯუზეპე გაძონიმ.

გერმანული „ბაიერნის“ ახალწვეული, პერუელი ფორვარდი პაულო გერერო ამხანაგური მატჩისას დაშავდა. 20 წლის ფეხბურთელის ტრავმა საკმაოდ სერიოზულია, მან მუხლის მყესები დაიზიანა, ფეხბურთსაც რამდენიმე თვით ჩამოშორდა.

იტალიური „მილანის“ ვეტერანი მცველი ალესანდრო კოსტაკურტა ერთი წლის შემდეგ კარიერის დასრულებას და მწვრთნელობის დაწყებას აპირებს. „ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ მსურს, მწვრთნელობაში ვცადო ბედი. ბოლო დროს ძალიან მომთმენი გავხდი, რაც ამ პროფესიისთვის ერთობ მნიშვნელოვანია“ — განაცხადა „ბილიმ“.

ესპანურმა „რეალმა“ მცველი რუბენი „ალბასეტეში“ გაანათხოვრა. 22 წლის ფეხბურთელი გასულ სეზონშიაც სხვა კლუბში იყო იჯარით გაშვებული, გერმანულ „მიონხენგლადბახში“. აღსანიშნავი კი ისაა, რომ კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, რუბენი „რეალის“ წინააღმდეგ მატჩებს ვერ ჩაატარებს.

ყატარის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის ფრანგი თავკაცი ფილიპ ტრუსიე პოსტიდან დაითხოვა. ახლახან, ყატარმა აზიის თასზე ინდონეზიასთან 1:2 რომ წააგო, ტრუსიემ თქვა, თანამდებობას ტურნირის დასრულების შემდეგ დავტოვებო. ფეხბურთის ფედერაცია სწორედ ამ განცხადებამ გააღიზიანა და იქაური ფეხბურთის მამებმაც თავად დაასწრეს ტრუსიეს.

იტალიური „იუვენტუსისა“ და მსოფლიოს უძვირესმა მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმა გუშინ „ბებერ ქალბატონთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით, 2009 წლამდე გააგრძელა. „იუვეს“ სატრანსფერო საქმიანობათა გურუ, ლუჩანო მოჯი კი თურმე, მაინც არ კმაყოფილდება და როგორც იტალიური პრესა წერს, მალე ინგლისელი მცველის, სოლ კემპბელის გადასაბირებლად დაიწყებს მოლაპარაკებებს „არსენალთან“.

ესპანური ტრანსფერები 2004

ვალენსია

მოვიდნენ
ფიორე (ლაციო, იტალია)
კორადი (ლაციო, იტალია)
კარეუ (რომა, იტალია)
ბუტელე (მეცი, საფრანგეთი)
პარი (ალბასეტე)
სალვა (მალაგა)
დე ლოს სანტოსი (ატლეტიკო)
ალბიოლი (უელვა)
როხასი (მალაგა)

წავიდნენ
კარეუ (ბეშიქთაში, თურქეთი)
ენგიქსი (პოლი ეხიდო)
დავიდ რანგელი (ლეიდა)
ხუან სანჩესი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ბარსელონა

მოვიდნენ
ბელეტი (ვილიარეალი)
ჟიული (მონაკო, საფრანგეთი)
ლარსონი (სელტიკი, შოტლანდია)
დეკო (პორტუ, პორტუგალია)
სილვინიო (სელტა)
ვან ბრონკჰორსტი (არსენალი, ინგლისი)
დავიდ სანჩესი (ალბასეტე)
ფერნანდო ნავარო (ალბასეტე)

წავიდნენ
ლუის ენრიკე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კოკუ (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
რაიციგერი (მიდლსბრო, ინგლისი)
კვარესმა (პორტუ, პორტუგალია)
მარიო (მალიორკა)
ენკე (მიონხენგლადბახი, გერმანია)

დეპორტივო

მოვიდნენ
რუბენი (ლას პალმასი)
მომო (ლას პალმასი)
ხაიმე (ჰანოვერი, გერმანია)
ხესუსი (სარაგოსა)
ხოსე მანუელი (ელჩე)
ტორო აკუნია (ელჩე)
დანი მალო (ელჩე)
ჩანგუი (ლას პალმასი)
აბრეუ (ტეკოსი, მექსიკა)

წავიდნენ
ივან პერესი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფერნანდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯალმინია (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯოროვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სონგო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ამავისკა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

რეალი

მოვიდნენ
სამუელი (რომა, იტალია)
მორიენტესი (მონაკო, საფრანგეთი)
სელადესი (ბორდო, საფრანგეთი)
რუბენი (მიონხენგლადბახი, გერმანია)
აგანსო (ლევანტე)

წავიდნენ
კამბიასო (ინტერი, იტალია)
ფლავიო კონსეისაო (გალათასარაი, თურქეთი)
რუბენი (ალბასეტე)

ბილბაო

მოვიდნენ
ანგულო (ბილბაო B)
კასასი (ბილბაო B)
ასკორა (ბილბაო B)
სოლაბარიეტა (ბილბაო B)

წავიდნენ
ლარასაბალი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

სევილია

მოვიდნენ
არანდა (ვილიარეალი)
რენატო (სანტოსი, ბრაზილია)
ფერნანდო სალესი (ვალიადოლიდი)
მაკუკულა (ნანტი, საფრანგეთი)
ვიქტორ სალასი (ალმერია)
დანი (უელვა)
ტოედტლი (უელვა)
ფრედი (მურსია)

წავიდნენ
გალიარდო (ხეტაფე)
მარკოს ვალესი (ვალიადოლიდი)
ხერმან ორნოსი (ვალიადოლიდი)
მარანიონი (მურსია)



ჰენრიკ ლარსონი ახლა „ბარსელონაში“ იოლავებს

ატლეტიკო

მოვიდნენ
პაბლო (ალბასეტე)
ლეო ფრანკო (მალიორკა)
კოლსა (მალიორკა)
პერეა (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
ანტონიო ლოპესი (ოსასუნა)
მოვილია (სარაგოსა)
კორეა (მალიორკა)

წავიდნენ
პინოლა (ალბასეტე)
ბურგოსი (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
როდრიგო (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
სერხიო სანჩესი (ხეტაფე)
ხუანმა (ნუმანსია)
ორტისი (ოსასუნა)
დე ლოს სანტოსი (ვალენსია)
ლეკი (ხეტაფე)
ამაია (ხეტაფე)
ნიკოლაიდისი (აეკ, საბერძნეთი)
ლედო (ვალიადოლიდი)

ვილიარეალი

მოვიდნენ
ხისკო (ნუმანსია)
ნადალი (ნუმანსია)
არმანდო სა (ბენფიკა, პორტუგალია)
გ. როდრიგესი (სან ლორენსო, არგენტინა)
ექტორ ფონტი (სიუდად მურსია)

წავიდნენ
არანდა (სევილია)
ბელეტი (ბარსელონა)
კოლოჩინი (?)

ბეტისი

მოვიდნენ
კასასი (ხერესი)
დობლასი (ხერესი)
ჟოაუ ტომასი (პოლი ეხიდო)
გუდიონსონი (პოლი ეხიდო)
კალადუ (პოლი ეხიდო)
პ. ნინიო (პოლი ეხიდო)
პ. კასტელინი (ტორინო, იტალია)

წავიდნენ
მინგო (ალბასეტე)
კალადუ (ნუმანსია)
ჟოაუ ტომასი (ბრაგა, პორტუგალია)
იტო (ესპანიოლი)
პალერმო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)

მალაგა

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
როხასი (ვალენსია)
სალვა (ვალენსია)
კანაბალი (პონტევედრა)
დიეგო ალონსო (პონტევედრა)
ინსუა (პონტევედრა)

მალიორკა

მოვიდნენ
არანგო (პუებლა, მექსიკა)
პ. მიულერი (ლიონი, საფრანგეთი)
მარიო (ბარსელონა)
სიფუენტესი (სიუდად მურსია)

წავიდნენ
ტონი გონსალესი (სიუდად მურსია)
ტუნი (სალამანკა)
ლეო ფრანკო (ატლეტიკო)
კოლსა (ატლეტიკო)
კორეა (ატლეტიკო)
მიკი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვისენტე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლუსენჰოფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ედუ მოია (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნენე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფინიდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

სარაგოსა

მოვიდნენ
ლუის გარსია (ნუმანსია)
ოსკარი (ვალიადოლიდი)
არანსაბალი (სოსიედადი)
დრულიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ხუანხო კამაჩო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

წავიდნენ
ველისკა (ალმერია)
იბან ესპადასი (ალმერია)
ბილიჩი (კორდობა)
ვალბუენა (ალბასეტე)
იორდი (ხეტაფე)
ხესუსი (დეპორტივო)
რებოსიო (ტერასა)
პაბლო (ტერასა)
ხუანელე (ტერასა)
ფერონი (ალბასეტე)
დანი (ესპანიოლი)
მოვილია (ატლეტიკო)
კორონა (ვალიადოლიდი)
ინიაკი (ვალიადოლიდი)

ოსასუნა

მოვიდნენ
მილოშევიჩი (პარმა)
დელპორტე (ალბასეტე)
ორტისი (ატლეტიკო)
კლავერო (მურსია)
ხოსუე (მურსია)

წავიდნენ
ბრიტი (სალამანკა)
პალასიოსი (ნუმანსია)
დიეგო მატეო (ვალიადოლიდი)
ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო)
გორკა გარსია (კორდობა)

ალბასეტე

მოვიდნენ
რუბენი (რეალი)
პაჩეკო (ინტერი, იტალია)
მინგო (ბეტისი)
ვალბუენა (სარაგოსა)
გასპერჩიჩი (ალავესი)
მარკ გონსალესი (უნ. კათოლიკა, ჩილე)
ფრანსისკო (ალმერია)
ფერონი (სარაგოსა)
ლუისმი (ესპანიოლი)

წავიდნენ
პედრო ერნანდესი (სიუდად მურსია)
პაბლო (ატლეტიკო)
დელპორტე (ოსასუნა)
პარი (ვალენსია)
დავიდ სანჩესი (ბარსელონა)
ფერნანდო ნავარო (ბარსელონა)
არანდა (სევილია)
ალმუნია (არსენალი, ინგლისი)
ბასტი (?)
პედრო (?)
სიმეონი (?)
როა (?)
უნაი (?)
მოსო (?)
ფაბიანო (?)

რასინგი

მოვიდნენ
სიეტესი (ალავესი)
მარკეში (რაიო ვალეკანო)
ბორგესი (მირამარი, მექსიკა)
რეგრაგი (აიაჩო, საფრანგეთი)
ბახარი (ალავესი)

წავიდნენ
ბოდიპო (ალავესი)
კორომინა (ალავესი)
რიკარდო (მანჩესტერ იუნ. ინგლისი)

სოსიედადი

მოვიდნენ
ბრეშე (ინტერი, იტალია)
ბარკერო (პოლი ეხიდო)
ლაბაკა (სიუდად მურსია)
მიკელ ალონსო (ნუმანსია)
გარი ურანგა (ხეტაფე)
არტეტა (რეინჯერსი, შოტლანდია)

წავიდნენ
პაკო ლორენტე (ეიბარი)
დე პედრო (ბლექბერნი, ინგლისი)
არანსაბალი (სარაგოსა)
პოტილიონი (პსჟ, საფრანგეთი)
კვარმე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გურუჩაგა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ესპანიოლი

მოვიდნენ
დომი (პსჟ, საფრანგეთი)
იტო (ბეტისი)
დანი (სარაგოსა)
პოჩეტინიო (ბორდო, საფრანგეთი)

წავიდნენ
ხორდი კრუიფი (?)
ტორრიჩელი (?)
ვინიალი (ლივერპული, ინგლისი)
ბობსონი (?)
რადუჩანუ (არმინია, გერმანია)
ლუისმი (ალბასეტე)
ტონი ხიმენესი (?)

ლევანტე

მოვიდნენ
კამაჩო (უელვა)
ხუანმა (მალაგა B)
ჰარტი (ლიდსი, ინგლისი)
მიალბი (სელტიკი, შოტლანდია)
ნაჩო (მალაგა B)
კულებრასი (ნუმანსია)

წავიდნენ
ლეკუმბერი (ალავესი)
ოლიასი (ალავესი)
კარპინტერო (ალავესი)
აგანსო (რეალი)

ნუმანსია

მოვიდნენ
კალადუ (ბეტისი)
ტევენეტი (?)
ხუანმა (ატლეტიკო)
ხუანპა (სალამანკა)
პაბლო სანსი (რაიო ვალეკანო)
პალასიოსი (ოსასუნა)
პინოლი (ალმერია)
ხუანლუ (ერკულესი)
ხოსე ხუანი (სელტა B)
ოჩოა (ალავესი)

წავიდნენ
ხუან მორენო (ალმერია)
პულიდო (მურსია)
ლუის გარსია (სარაგოსა)
როსუ (უელვა)
მიკელ ალონსო (სოსიედადი)
ტორილი (?)
ფაგიანი (?)
კასადო (?)
რიანიო (?)
ხისკო (ვილიარეალი)
ნადალი (ვილიარეალი)
კულებრასი (ლევანტე)

ხეტაფე

მოვიდნენ
გალიარდო (სევილია)
იორდი (სარაგოსა)
პერნია (უელვა)
მარიო (?)
ბორხა (?)
სერხიო სანჩესი (?)
ამაია (ატლეტიკო)
სანჩეს ბროტო (მურსია)

წავიდნენ
ბერნო (ელჩე)
პაჩონი (ვალიადოლიდი)
გარი ურანგა (სოსიედადი)
კალეხა (?)
ა. კასტრო (?)
ნაჩო (?)
რუბენ რეიესი (?)

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ავსტრია. ბუნდესლიგა. II ტური

21 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.30	002	რაპიდი-ტიროლი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
21.30	003	ადმირა-ბრეგენცი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69
21.30	004	გრაცერი-ზალცბურგი	1,5	3,8	5,6	1,07	1,18	2,26
21.30	005	მატერსბურგი-ავსტრია	3,6	3,2	1,9	1,69	1,24	1,19

დანია. სუპერლიგა. I ტური

24 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	021	სილკებორგი-კოპენჰაგენი	3,6	3,3	1,85	1,72	1,22	1,18

25 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17.00	022	ოლბორგი-მიდტიულანდი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
17.00	023	ნორდსიელანდი-ორჰუსი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
17.00	024	ჰერფიოლგე-ვიბორგი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
19.35	025	ბრიონდბიუ-ოდენსე	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91

შვედეთი. ალსვენსკა. XII ტური

21 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	028	მალმიო-ჰალმსტადი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64

ნორვეგია. ტიპელიგა. XV ტური

25 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	047	სოგნდალი-სტაბეკი	2,1	3,4	3,0	1,29	1,23	1,59
20.00	048	ოდ გრენლანდი-ბოდიო გლიმტი	1,75	3,4	4,0	1,15	1,21	1,83
20.00	049	რუსენბორგი-ფრედრიკსტადი	1,1	7,0	14,0	1	1,01	4,66
20.00	050	ლილესტრიომი-ვიკინგი	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73
20.00	051	ტრომსიო-ჰამარი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
22.15	052	მოლდე-ბრანი	2,05	3,3	3,2	1,26	1,24	1,62

26 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	053	ვოლერენგა-ლინი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44

ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XV ტური

21 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	056	ტამპერე-ჰაკა	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
19.30	057	ჰაამეენლინა-მიუპა	2,8	3,1	2,3	1,47	1,26	1,32
19.30	058	იარო-ტპ 47	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44

22 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	059	ლაჰტი-ინტერი	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
19.30	060	როვანიემი-ალიანსი	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23

რუსეთი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები

21 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.00	076	მოსკოვი-შინიკი	1,9	3,0	3,8	1,16	1,26	1,67
16.00	077	ალანია-სპარტაკი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42

უკრაინა. პრემიერლიგა II ტური

21 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.00	094	არსენალი-ბორისფენი	1,85	2,9	4,0	1,12	1,26	1,68

სლოვაკეთი. I ლიგა. I ტური

24 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	107	ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი	1,5	3,5	5,6	1,04	1,18	2,15
20.00	108	დუბნიცა-პუხოვი	1,75	3,2	4,0	1,13	1,21	1,77
20.00	109	სობოტა-რუჟომბეროკი	2,5	3,0	2,45	1,36	1,23	1,34

25 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
12.30	110	პეტრჟალკა-ინტერი	2,0	3,1	3,3	1,21	1,24	1,59

ხორვატია. 1.HNL. I ტური

21 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	113	სლავენი-ოსიეკი	2,0	3,1	3,3	1,21	1,24	1,59

23 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	114	ჰაიდუკი-პულა	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33

24 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	115	მედიმურიე-რიეკა	2,5	3,0	2,45	1,36	1,23	1,34
20.00	116	ზაგრები-ინტერი	2,0	3,1	3,3	1,21	1,24	1,59
22.00	117	კამენი-ვარტექსი	2,2	3,1	2,9	1,28	1,25	1,49

25 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	118	ზადარი-დინამო	4,8	3,4	1,6	1,99	1,2	1,08

გერმანია. ლიგის თასი

21 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	158	ლევერკუზენი-ჰანზა	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72

22 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	159	შტუტგარტი-ბოხუმი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67

ჩემპიონთა ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი. II მატჩები

21 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	163	ნეფთჩი-შიროკი ბრიეგი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
20.00	165	ჰიკ-ლინფილდი	1,25	4,6	9,0	1	1.09	3.04
20.00	166	ქენესი-შერიფი	4,2	3,4	1,7	1,87	1,21	1,13
20.00	167	კაუნასი-სლიემა	1,25	4,6	9,0	1	1,09	3.04
22.00	170	რილი-სკონტო	4,4	3,5	1,65	1,94	1,2	1,12
22.15	171	გორიცა-ფლორა	1,3	4,2	8,0	1,11	1,11	4
22.45	172	შელბურნი-რეიკიავიკი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73

CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

COPA AMERICA PERU 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

		1	X	2	1-X	1-2	X-2
21 ივლისი							
03.45 007	ბრაზილია-ურუგვაი	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95

I ტაიმის შედეგი

21 ივლისი							
5007	ბრაზილია-ურუგვაი	2,1	2,05	5,6	1,03	1,32	1,5

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

21 ივლისი
5407 ბრაზილია-ურუგვაი ---------------- 1,5 ---------------------------- 2,6

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
21 ივლისი									
5107 ბრასილია-ურუგვაი	2,4	12,0	25,0	3,5	4,8	8,5	20,0	10,0	8,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

	I-ში	თანაბრად	II-ში
21 ივლისი			
5507 ბრასილია-ურუგვაი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

-------------------------------- კი ----------------------- არა
21 ივლისი
5307 ბრასილია-ურუგვაი ------------- 1,65 ------------------------ 1,95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

21 ივლისი
5207 ბრასილია-ურუგვაი --------------- 1,7 ---------------------------- 1,9

შემდეგ ეტაპზე გასვლა

21 ივლისი
7007 ბრასილია-ურუგვაი ---------------- 1,3 ---------------------------- 2,8

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

CROCO BOOKMAKERS კროკო

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი - კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

ქართველები ათენში

შარშან შემოდგომაზე საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა ვანკუვერში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა იზეიმა. ქართულმა შვიდეულმა, ბუნებრივია, ყველაზე მეტად გაიხარა, მაგრამ ორი მოჭიდავის, სიხარული სევდანარევი იყო – ბესიკ გუჩაშვილმა (55კგ) და გელა საღირაშვილმა (74კგ) ოლიმპიური ლიცენზიები ვერ მოიპოვეს. ამ უკანასკნელმა მიზანს მოგვიანებით მაინც მიაღწია და ახლა ათენისთვის გამალებით ემზადება

საღირაშვილი პარტერიდან ოლიმპიადამდე

დაუჯერეთ ნათესავებს, იჭიდავეთ თავისუფლად

გელა საღირაშვილი
თავისუფალი ჭიდაობა

დაიბადა: 1980 წლის 7 ნოემბერს თბილისში
წონა: 80 კგ (სპორტული 74 კგ)
სიმაღლე: 180 სმ
ოჯახი: მშობლები და ორი და

შედეგები

2003-2004 საქართველოს ჩემპიონი
2003 საერთაშორისო ტურნირი (ხასავიურტი) — ბრინჯაო
2004 საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი (სოფია) — ვერცხლი

— გაიხსენე სპორტში შენი პირველი ნაბიჯები.

— ჭიდაობაზე 12 წლის ასაკში მიმიყვანეს. საჭიდაო ანბანი სპორტსაზოგადოება „შევარდენში", ბიჭიკო პაპაშვილთან ვისწავლე. 2001 წლიდან კი მარლენ ოსიყმაშვილთან ვარ.

— რატომ აირჩიე მაინცდამაინც ჭიდაობა. სხვა სპორტში შესვლის სურვილი არ გქონია?

— ვერ ვიტყვი, რომ მე ავირჩიე. არც მამაჩემს უაქტიურია. უბრალოდ, ნათესავს დავუჯერეთ და გაამართლა. საქმემ, რომელიც თავიდან არცთუ მიმზიდველი ჩანდა, ნელ-ნელა ჩამითრია და სხვა სპორტისკენ აღარც გამიხედავს.

— პირველი წარმატება როდის მოვიდა?

— 1995 წელს ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ერთ წელიწადში კი უკვე ახალგაზრდებში, სპორტის სასახლეში გამართული შოთა ლომიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე.

— საქართველოს ნაკრებში როდის აგიყვანეს?

— ამისთვის საქართველოს ჩემპიონატზე სამეულში შესვლა იყო აუცილებელი. 2001 წელს მეორეზე გავედი და ოცნებაც ამისრულდა. ჩემს გარდა გუნდში დათო ლეჟავა და გურამ მჭედლიძე მოხვდნენ.

— ნაკრების პირველნომრობა მალე გაინაღდე?

— დიდი კონკურენცია იყო, თუმც თავის გამოჩენის შანსს სამივეს გვაძლევდნენ. 2001 და 2002 წლებში ლეჟავა და მჭედლიძე გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. 2003-ში კი მე და ათენის ოლიმპიადის სალიცენზიო ბრძოლაშიც ჩავები.

— მაგრამ შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიზნის მიღწევა ვერ მოახერხე...

— ვანკუვერიდან გაორებული გრძნობით ვბრუნდებოდი. გუნდურ შეჯიბრში მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, პირადში კი ათენის საგზურის მოგებაც ვერ შევძელი. მართლა ძალიან გულნატკენი ვიყავი. საერთო სიხარულით ვერ დავტკბი...

— წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი რა იყო?

— პირველ რიგში უიღბლო კენჭისყრა. ჯგუფში ორ ფავორიტთან, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ არაიკ გევორქიანთან და ვიცე-ჩემპიონ მურად გაიდაროვთან მოვხვდი და ვერ გავედი. თავს იმითღა ვიმშვიდებდი, რომ წინ კიდევ ორი შანსი მქონდა.

— გრძნობდი, რომ ლიცენზიას მაინც აიღებდი?

— მჯეროდა და ამაში გარშემომყოფთა იმედიც მარწმუნებდა. მოჭიდავეებიან-მწვრთნელებიანად ყველა მამხნევებდა. უიღბლობამ პირველ სალიცენზიო ტურნირზე ერთხელაც შემახსენა თავი. ლიცენზიამდე ერთი გამარჯვება დამაკლდა და ბოლო შანსის ლოდინმა კიდევ უფრო დამძაბა, თუმც სოფიაში მიზანს მაინც მივაღწიე.

— ის დღე ალბათ შენს ცხოვრებაში ერთ-ერთი გამორჩეული იყო...

— აშკარად ყველაზე იღბლიანი, უბედნიერესი ვიყავი.

— და ყველაზე ცუდი მოსაგონარი დღეები თუ გახსოვს?

— როგორ არა, თუნდაც ვანკუვერის მსოფლიოს ჩემპიონატი.

— ხალიჩაზე გასვლის წინ თუ გაქვს რამე ცუდად ან კარგად დაცდილი?

— ტურნირების დროს ასეთ რამეებს ყურადღებას არ ვაქცევ. ხასიათის სპორტსმენი არ ვარ. ცრურწმენაზეც მხოლოდ ხუმრობით თუ ვიტყვი რამეს. მაგალითად, ვარჯიშის დროს რაღაც ილეთი რომ არ გამომდის, ესე იგი იმ დღეს ცუდ ფეხზე ავდექი.

— უცხო თვალით რომ შეხედო, გელა საღირაშვილის ჭიდაობას, რას მოუწონებდი და რას არა?

— ყველაზე კარგად, მგონი, პარტერში ჭიდაობა გამომდის. საერთოდაც, ფიზიკურად უკეთ ვარ მომზადებული, ვიდრე ტექნიკურად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს რომელიმეში სრულყოფილი ვიყო. მომატება ყველაფერში მჭირდება.

— ამჟამად როგორ ფორმაში ხარ?

— საბრძოლომდე ჯერ ბევრი მიკლია. გეგმის მიხედვით მივდივარ და პიკზე ათენისთვის უნდა ვიყო.

— შენი წონის მთავარი ფავორიტები ათენში ვინ იქნებიან?

— რუსი ბუაისარ საიტიევი, ბელარუსი მურად გაიდაროვი და ყაზახი გენადი ლალიევი.

— ამათგან რომელია ყველაზე სასურველი მეტოქე?

— შარშან ხასავიურტის ტურნირზე, ფინალში გასასვლელ ბრძოლაში ლალიევს შევხვდი და აშკარად მოვუგე, მაგრამ გამარჯვება წამართვეს. ჯობია, ისევ მას შევხვდე და რევანში ავუღო.

— საბერძნეთში ჩემპიონობის ყველაზე რეალური შანსი რომელ ქართველებს ექნებათ?

— რევაზ მინდორაშვილს, გიორგი ასანიძესა და, რა თქმა უნდა, ელდარ კურტანიძეს.

— ჭიდაობის გარდა რომელი სახეობები გიყვარს?

— კრივი და ცურვა

— ფეხბურთი?

— საფეხბურთოდ თავისუფალი დროის ხარჯვა მენანება. მირჩევნია, მეგობრებთან ერთად ბუნებაში გავიარო.

— მამაპაპურად მოლხენაზე რას იტყვი?

— დალევა იქით იყოს და, დანარჩენი ყველაფერი კარგია. კიდევ ძალიან მიყვარს მანქანები, ქალები და ზღვა.

— შეყვარებული არ გყავს?

— შეყვარებული არა, მაგრამ ცოლის მოყვანა კი მინდა.

ოთარ მაღლაკელიძე



გელა საღირაშვილი და მისი პირველი მასწავლებელი ბიჭიკო პაპაშვილი

ჩოგბურთი

დამაშათებული არა ვარ

სერენამ თავს ბეუძახა

სერენა უილიამსს სჯერა, რომ უიმბლდონობის ფინალში მარია შარაპოვასგან ნაწვნევი მოულოდნელი (და საოცრად დამავჯერებელი) მარცხი მისთვის კარგი გაკვეთილი და იმავდროულად დიდი სტიმული იქნება.

„მას არაფერი ჰქონდა დასაკარგი, მე კი ჩემი თავი უმძლავრესი წნეხის ქვეშ მოვაქციე. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ რვა თვის განმავლობაში ჩოგანი არ მიქნევია, ამ ფინალშიც არცთუ ურიგოდ გამოვიყურებოდი" — ასე იგონებს და აფასებს ის თავის ორი კვირისწინანდელ გაფარჩაკებას.

თუმცა მაშა შარაპოვას შესახებ სერენა ახლა ყველაზე ნაკლებად ღელავს. მე ახლა უწინარესად აწმყოზე, მომავალსა და ჩემს თავზე ვფიქრობო, ამბობს იგი: „მეტი ფოკუსირება მჭირდება. მაგრად მუშაობას თუ განვაგრძობ, ძალიან მალე დავიბრუნებ იმ ადგილს, რომელიც მეკუთვნის."

იმის გამო, რომ აგვისტოში მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო შარშანდელი სეზონის მთელი მეორე ნახევარი გაუცდა, სერენას წლის ბოლომდე დასაკარგი აღარაფერი დარჩა — სარეიტინგო ქულების დაცვა მას მხოლოდ 2005 წლის მარტიდან თუ მოუხდება, რაკიდა ერთადერთი საამსეზონო ტიტული სწორედ მარტში, მიამბაზე იშოვა.

ამიტომ ის ახლა ყოველ კვირა კორტზე გასვლას და ქულებთან ერთად დიდი გამარჯვებებისთვის აუცილებელი ფსიქოდავლათის დაგროვებასაც აპირებს.

მაგრამ მამა რიჩის უმცროსი გოგონა იქვე დასძენს, რომ ჩოგბურთი მისი ცხოვრების უმთავრეს შემადგენლად აღარ მიაჩნია.

„შარშანდელმა წელმა ბევრი რამ მასწავლა და იმას, რომ კორტზე ჩოგნის ქნევა ყველაზე მთავარი რამ არ არის, სწორედ შარშან მივხვდი."

შეგახსენებთ, რომ სწორედ გასული წლის სექტემბერში მოკლეს მისი უფროსი ნახევარდა იეტუნდი პრაისი. მათი ამ ერთგული ქმაგის მკვლელობა სერენამ და ვინუსმა მართლაც ჰალალად განიცადეს...

ამ კვირაში სერენა ლოს ანჯელესში, JP MORGAN CHASE OPEN-ზე გამოვა.

ლევან კელაურაძე

ათენელებს ხუთი რგოლი ძალიან დაუმძიმდათ

ATHENS 2004

ათენის ოლიმპიური თამაშების ბაზების მშენებლობის გრაფიკის დარღვევამ არა მხოლოდ საბერძნეთის პრესტიჟი აზარალა, არამედ თავად ამ ქვეყნის სპორტსმენები. ყოველ შემთხვევაში, საბერძნეთის სპორტული დელეგაციის მეთაური ოლიმპიადაზე იანის პაპადოგიანისი ვარაუდობს, რომ ბერძენ სპორტსმენების მომზადების დონეზე აისახება სპორტული ბაზების მშენებლობის გრაკიფის დარღვევაო.

„საქმე ისაა, რომ ბევრი ოლიმპიური ბაზა სარეკონსტრუქციოდ დაიხურა და ჩვენს სპორტსმენებს საბერძნეთში კარგი სავარჯიშო სარბიელი აღარ დარჩათ — ამბობს პაპადოგიანისი — ჩვენ ჯერ კიდევ 1997 წელს მოვიპოვეთ ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება, მაგრამ მისმა ორგანიზატორებმა რეალურად რაღაცის კეთება მხოლოდ ოთხი წლის წინათ დაიწყეს. ამიტომაც, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 200 მეტრზე რბენაში კოსტას კენტერისი იძულებული გახდა დახურულ სარბიელზე ევარჯიშა და არა ჩვეულებრივ ღია მძლეოსნურ ბაზაზე. იმის გამო, რომ ოლიმპიური სტადიონის აგების გრაფიკი უსაშველოდ დაირღვა, იძულებულნი გავხდით საბერძნეთის მძლეოსანთა ჩემპიონატი მშენებლობის თანხლების ჩაგვეტარებინა. ამ დროს სასტარტო პისტოლეტის ხმას მშენებლობის ხმაური ახშობდა. ამას გარდა 2000 წლიდან სარემონტოდ გაჩერდა მთელს ქვეყანაში ორი უდიდესი ოლიმპიური ცენტრი. ყოველივე ამის გამო ჩვენი სპორტულ ფედერაციათა ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ შეკრებები და ვარჯიშები ჩაეგდოთ ან გადაეტანათ.“

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბერძნებს განუზრახავთ საკუთარ კედლებში გაიმეორონ სიდნეის ოლიმპიური თამაშების მიღწევა და 13 გამარჯვება იზეიმონ.

ესღა აკლდათ
ბერძნებს მწვანეებიც შემოსწყრნენ

ათენს პრობლემები არ ელევა. ახლა ცნობილი გახდა, რომ გარემოს დაცვის მსოფლიოს ფონდი უარს ამბობს ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის „მწვანეს“ სტატუსის მინიჭების თაობაზე. ფონდის მონაცემებით, ბერძნებმა ვერ შეძლეს მათ მიერ აღებული ეკოლოგიური ვალდებულებების შესრულება. ამიტომაც ოლიმპიადა 2004 ეკოლოგიური სისუფთავის მხრივ მთელი ერთი საფეხურით ჩამორჩება სიდნეის თამაშებს.

საინტერესოა, რომ ბერძნების ერთ-ერთი არგუმენტის მიხედვით, რამაც ამ ქალაქში ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ბედი გადაწყვიტა, იყო იმის დაპირება, რომ ყველა ეკოლოგიურ ნორმას დაიცავთ და ოლიმპიურ ობიექტებს ათენის ლანდშაფტს ორგანულად და ჰარმონიულად მოვარგებთო.

ასეა თუ ისე, ათენის ოლიმპიური თამაშები სერიოზულ და გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს გარემოს. ველური ბუნების მსოფლიო ფონდის ექსპერტთა მოხსენების თანახმად, რომელიც ავსტრიაში გამოქვეყნდა, საბერძნეთი მრავალი ეკოლოგიური ასპექტის მიხედვით მზად არაა ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად. კერძოდ, გადაუჭრელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების, წყლის ეკონომიური ხარჯვის, ეკონომიურად სუფთა ენერგიის გამოყენების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების დაცვის პრობლემა.

განსაკუთრებით მწვავე ეკოლოგიური კრიტიკა დაატყდა თავს შინიასის ველის რაიონში სანიჩბოსნო ცენტრის მშენებლობას. ექსპერტთა თქმით — „ახალი გზების და სპორტული ნაგებობების მშენებლობას შეეწირა მნიშვნელოვანი ბუნებრივი ნაკრძალები, რამაც მათი განადგურება გამოიწვია.“

ველური ბუნების მსოფლიო ფონდის სპეციალისტები ადანაშაულებენ საბერძნეთის ოლიმპიურ კომიტეტსაც, რომელიც სიტყვით აღიარებს ეკოლოგიური პრინციპების დაცვას, საქმით კი ყველაფერს აკეთებს, რომ იზარალოს უნიკალურმა ბერძნულმა ბუნებამ და საბერძნეთის დედაქალაქის ეკოლოგიამ.

— სამწუხაროდ, ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთათვის გარემოს დაცვა პრიორიტეტული არ იყო — ამბობს საბერძნეთის მხრიდან ფონდის წარმომადგენელი დიმიტროს კარაველასი.

ამერიკელები შორს გაცურავენ



ამერიკელთა მთავარი იმედები მაიკლ ფელპსი და იან კროკერი

ამერიკელი მოცურავეები ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ძალზე ძლიერი გუნდით გამოვლენ. შესარჩევი შედეგების მიხედვით გუნდში მოხვდა 44 სპორტსმენი, მათ შორის 19 წლის მაიკლ ფელპსი და 31 წლის ჯენი ტომპსონი.

პირველმა შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბარსელონაში 5 მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა და ახლა, როგორც ცნობილია, თანამემამულე მარკ სპიცის მიღწევის გამეორებას და გადაჭარბებასაც აპირებს, რაც ერთ თამაშებში სულ ცოტა 7 გამარჯვებას გულისხმობს. აი, ჯენი ტომპსონს კი 7 ოლიმპიური გამარჯვება უკვე მოუპოვებია, ოღონდაც მან ამ წარმატებას 3 თამაშების ჯამში მიაღწია.

ფელპსის გარდა ამერიკის ნაკრებში კიდევ 6 მოქმედი მსოფლიოს რეკორდსმენია. ესენი არიან: იან კროკერი (100 მ. ბატერფლაი), ბრენდან ჰანსენი (100-200 მ. ბრასი), ლენი კრეიზელბურგი (100 მ. გულაღმა), არონ პირსოლი (200 მ. გულაღმა), ამანდა ბირდი (200 მ. ბრასი) და ნატალი კოგლენი (100 მ. გულაღმა).

ამერიკელ ვაჟთაგან 13 ინდივიდუალური სახეობიდან ცხრაში ელიან ოქროს მედალს, მათ შორის: 100 და 200 მეტრზე გულაღმა, ბრასითა და ბატერფლაით, აგრეთვე 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, რომლებშიც ამერიკელებს სეზონის საუკეთესო შედეგები აქვთ, ხოლო რვაში მსოფლიოს რეკორდებსაც ფლობენ. დანარჩენ სახეობებში ამერიკელი ვაჟები სხვა საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ.

რაც შეეხება ამერიკელ ქალებს, მათ ფავორიტებად მხოლოდ 100 მეტრზე გულაღმა და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მიიჩნევენ. თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ ჩვენებს ოქროსთვის ბრძოლა 100 მეტრზე ბრასით და კომპლექსური ცურვის ორივე დისტანციაზეც შეეძლებათო.

რაც შეეხება ესტაფეტებს, აქ ამერიკელები პროგრამის სამივე სახეობაში ფავორიტები არიან. აქედან 400 მეტრზე კომბინირებულ საესტაფეტო გუნდში სამი მსოფლიოს რეკორდსმენი იქნება.

ამერიკელ ვაჟთა თანაგუნდელი ქალები კი გამარჯვებას მხოლოდ კომპლექსურ ესტაფეტაში გეგმავენ.

ავთანდილ ბუკიშელი

დორტმუნდის სუპერტურნირი

გერმანია. დორტმუნდი. 22 ივლისი — 1 აგვისტო

A ჯგუფი: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), პეტერ სვიდლერი (რუსეთი), სერგეი რუბლიოვსკი (რუსეთი), არკადი ნაიდიჩი (გერმანია)

B ჯგუფი: ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), ვიორელ ბოლოგანი (მოლდოვა), სერგეი კარუაკინი (უკრაინა)

გერმანია პატარა არკადის იმედზეა

დორტმუნდის სუპერტურნირის ორი ფავორიტი ვლადიმირ კრამნიკი და ვიშვანათან ანანდი

წლევანდელი დორტმუნდის სუპერტურნირი ახალი ფორმატით ჩატარდება. ექვსის ნაცვლად 8 დიდოსტატი ითამაშებს და ისინი ორ ჯგუფში განაწილდებიან, მეტოქეები ექვს პარტიას გაითამაშებენ და პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ჩარჩენილები კი მეხუთე-მერვე ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. „ვცდილობთ, ჭადრაკის თამაში უფრო ამაღელვებელი და აზარტული გავხადოთ“ — განაცხადა დორტმუნდის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორმა გერდ კოლბემ.

ტოტალიზატორების აზრით, ტურნირის ფავორიტი ინდუსი ვიშვანათან ანანდია 2,5 კოეფიციენტით. ინდოელმა ვეფხვმა ეს წელი კარგად დაიწყო, იანვარში ვეიკ-ანზეე მოიგო, შემდეგ ამბერის სწრაფ ტურნირზე იმარჯვა და ამავდროულად საჭადრაკო ოსკარის მფლობელიც გახდა, ამ პრიზით კი მხოლოდ წლის საუკეთესო მოჭადრაკეებს აჯილდოვებენ.

საკმაოდ საინტერესოა ლეკოსა და კრამნიკის შეხლაც, რადგანაც ორივე დიდოსტატი სექტემბერ-ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონატის სანახევარფინალო მატჩშიც დაუპირისპირდება ერთმანეთს და საამისოდ დორტმუნდი მათთვის დიდი რეპეტიცია იქნება. კრამნიკმა წლეულს ლინარესი მოიგო და 4 კოეფიციენტი უწერია, ლეკომ კი სულ ბოლოს ორი წლის წინ დორტმუნდში იმარჯვა და შესაბამისად კოეფიციენტიც მეტი აქვს — 5.6 კოეფიციენტით მომდევნოა პეტერ სვიდლერი. რუსი დიდოსტატი დიდი მოგებებით ჯერჯერობით ვერ დაიკვეხნის, თუმც ფიდე-ს რეიტინგში მე-9 ადგილი უპყრია და, დამეთანხმებით, ყველასთვის საკმაოდ უხერხული მეტოქეა.

ასეთი მოჭადრაკეების ხელში საკმაოდ გაუჭირდება შარშანდელ ტრიუმფატორ ბოლოგანს ტიტულის შენარჩუნება და ამიტომ მას 30 „კუში“ უწერია. შეგახსენებთ, რომ მისი გასულ წელსაც არ ეიმედებოდათ, მაგრამ შემდეგ დიდი ამბები დაატრიალა.

რუბლიოვსკიმ დორტმუნდის საგზური თებერვალში მოსკოვში გამართულ „AEROFLOT OPEN“-ის მოგებით მოიპოვა და კოეფიციენტი ბოლოგანისტოლი აქვს.

ტურნირის ყველაზე ნორჩ მონაწილეს, 14 წლის კარუაკინს მოგებაზე 50 უწერია და მისი იმედი დედიკოს თუ აქვს. თუმც აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა უკრაინელი უკვე 12 წლისა გახდა დიდოსტატი. ეს ასაკი კი ჯერჯერობით სარეკორდოა. ასევე თითქმის უშანსოა მასპინძელი ნაიდიჩი, თუმც გერმანელებს მეტი რა გზა აქვთ, ამ ტურნირზე მასზე უკეთესი არავინ ჰყავთ და უნდა უქომაგონ. გერმანელს ყველაზე ბევრი, 60 „კუში“ უწერია.

საპრიზო ფონდი 375 ათასი ევროა.

ლუბა გეგეჭკორი

ბრიტანეთი აჩქარდა

26 წლის ამერიკელი მორბენალი მალაჩი დევისი ბრიტანელი გახდა. მან ელისაბედ მეორის სამეფოს პასპორტი ოლიმპიადის ლიცენზიისათვის გამართულ ასპარეზობამდე 3 დღით ადრე მიიღო. კალიფორნიაში დაბადებულ ათლეტს დედა ჰყოლია ინგლისელი და ბრიტანული პასპორტის აღებაში ესეც დაეხმარა.

მანჩესტერში მან 400 მეტრი 45,52 წამში ირბინა და ლიცენზია მოიპოვა. ათენში გაერთიანებული სამეფოს გუნდთან ერთად 4X400 მეტრ ესტაფეტას ირბენს.

ბრიტანულ გუნდში ათჭიდელი დინ მაკეიც დაბრუნდა, რომელიც თავის დროზე 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაო მოიგო, მაგრამ მას შემდეგ ტრავმების გამო არ ასპარეზობდა.

ბურთზე დოლიანიძეებისა ფოტო

დისციპლინა წინა პლანზე

თსუ თვითგამორკვევის პროცესშია

„დინამოს“ გარდა სადღეისოდ არც ერთმა ქართულმა კლუბმა არ იცის, როგორი შემადგენლობითა და რა მიზნებით ჩაებმება ეროვნულ ჩემპიონატში. ზოგმა არც ის იცის, საერთოდ იმონაწილეებს თუ არა ჩემპიონატში, რასაც ვერ ვიტყვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდზე. სტუდენტებმა ეროვნულში სამონაწილეო თანხის წინასწარ შესატანი 1000 ლარი ნაადრევად გადარიცხეს კალათბურთის ფედერაციის ანგარიშზე, ოღონდ ის კი არ იციან, როგორი შემადგენლობით ითამაშებენ.

„ყველაფერი ერთ კვირაში გადაწყდება, ვინ წავა, ვინ დარჩება, ვინ იქნება მთავარი მწვრთნელი — გვითხრა უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის მუშაკმა და საკალათბურთო გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა გია ჯავახიშვილმა — წინასწარი გათვლით თსუ ახალგაზრდული გუნდი იქნება, თუ ვეტერანებიდან ვინმე დარჩება, მხოლოდ ერთი, ჰა, ჰა, ორი კალათბურთელი. ჩვენს გუნდს ჰყავს პერსპექტიული ახალგაზრდები ბესო ლეჟავა, მიშა ფანჩულიძე... გვინდა, „აკადემიიდან“ რევაზ დიდია და დავით ხიზანიშვილიც დავიმატოთ.“

შეგახსენებთ, რომ თსუ გასულ სეზონში ქართული ჩემპიონატის კვალობაზე სოლიდური მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ გუნდს ერთიანობა აკლდა, შიდა პრობლემები აწუხებდა და საბოლოოდ მხოლოდ მე-4 ადგილს დასჯერდა. ამიტომაც ამბობს გია ჯავახიშვილი, ჯობს გუნდში დისციპლინა იყოს და შედეგს არ ვჩივი, ახალგაზრდებიც იმიტომ გვჭირდებაო.

„ჩემპიონატში რომ ვითამაშებთ, გადაწყვეტილი ამბავია, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უკვე გადარიცხა ფედერაციაში 1000 ლარი. ესაა ჩემპიონაში მონაწილეობის მსურველთა წინასწარ გადასახდელი თანხა, რომელიც 10 სექტემბრამდე უნდა დაიფაროს, თორემ მერე 500 ლარი ჯარიმა ემატება. ჩვენ ნაადრევად გადავიხადეთ ეს ფული და ახლა სპონსორებთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ალბათ ისევ „კოკა-კოლა“ დაგვეხმარება, შესაძლოა, სხვა სოლიდური კომპანიაც ჩავრთოთ საქმეში. დაფინანსება რომც არ შეგვიმცირდეს, ვეტერანთა უმრავლესობა მაინც დატოვებს გუნდს. ერთი, ვიზეც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენთან დარჩება, ირაკლი მაისურაძეა.“

ირაკლი პერტაია

ჩიკაგოში არ ბნელა

ბულზმა ნოჩიონი ესპანეთში დაინახა

უახლოეს ხანში ნბა-ში კიდევ ერთი არაამერიკელი გადავა დრაფტის გვერდის ავლით. ევროპაში მობურთალმა არგენტინელმა ანდრეს ნოჩიონმა ამერიკელები ჯერ კიდევ 2 წლის წინ, ინდიანაპოლისში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხიბლა. მანუ ჯინობილთან, ლუის სკოლასა და ლუის ობერტოსან ერთად მებრძოლი ნოჩიონი ოქროს მედალს იმსახურებდა, მაგრამ მსაჯებმა ჩემპიონობა იუგოსლავიის ნაკრებს აჩუქეს.

წინა კვირაში ნოჩიონი ჩიკაგოს სტუმრობდა, სადაც „ბულზის“ მწვრთნელს სკოტ სკაილზსა და გუნდის ხელმძღვანელობას შეხვდა. გადაწყდა, რომ ნოჩიონი მომავალი სეზონიდან „ჩიკაგოში“ ითამაშებს, ოღონდ ამ საქმის ოფიციალური მხარის მოგვარებას ჯერჯერობით არგენტინელი ფორვარდის მფლობელი ევროპული კლუბი „ტაუ კერამიკა“ ეწინააღმდეგება.

ყველაფერზე შევთანხმდით „ჩიკაგოში“, ისინი თანახმა არიან, რომ გუნდში ამიყვანონ — უთხრა არგენტინაში ჩასულმა ნოჩიონმა ჟურნალისტებს — პრობლემას არ წარმოადგენდა ჩემი ახლავე იქ დარჩენა, მაგრამ სანამ ყველაფერი არ მოგვარდება, არ მინდა გუნდის წევრივით მოვიქცე. მე იქ ვნახე 23-ნომრიანი მაისურა და მისი მფლობელის ქანდაკება. „ჩიკაგოში“ თამაში ფანტასტიკაა.“

თავის მხრივ „ჩიკაგოს“ გენმენეჯერმა ჯონ პაქსონმაც დაადასტურა, რომ ნოჩიონი მისი გუნდის მთავარი სატრანსფერო სამიზნეა და რომ „ხარებმა“ არგენტინელს უკვე შესთავაზეს სამწლიანი და ათმილიონიანი კონტრაქტი.

„ტაუ“ კი 3,6 მილიონს ითხოვს ნოჩიონის კონტრაქტის გამოსყიდვაში. ესპანური კლუბის პრეზიდენტი ამბობს, სანამ ამ თანხას უკანასკნელ ცენტამდე არ გადამიხდიან, ნოჩიონის ვერსადაც ვერ წაიყვანენო.

„ტაუში“ გავატარე ჩემი ახალგაზრდული წლები და გუნდის დატოვება ძალიან გამიჭირდება — ამბობს ნოჩიონი — ნბა-ში თამაშზე სულ ვოცნებობდი, მაგრამ შანსი ახლაღა გამომიჩნდა. ეტყობა რამე მნიშვნელოვანი გავაკეთე, ჩიკაგოელები რომ დავინტერესე.“

თუ „ტაუს“ მართლაც ეკუთვნის 3,6 მილიონი დოლარი, არც ეს დაამბრკოლებს „ჩიკაგოში“ წასასვლელად გამზადებულ ნოჩიონის — ბოლოს და ბოლოს იმ 10 მილიონიდან გადაუხდის ბასკებს, რასაც „ჩიკაგო“ სამწლიან კონტრაქტში სთავაზობს.

ირაკლი პერტაია

ლეიკერსს ძველი კაცი უბრუნდება

დივაცმა ლოს ანჯელესში დაიწყო და დაამთავრებს

შაკილ ონილის წასვლის შემდეგ „ლეიკერსის“ ფარქვეშეთი გვარიანად შეხალვათდა და ლოსანჯელესელებმაც უმალ იწყეს „მაიამიდან“ გადმოყვანილი ბრაიან გრანდის დამხმარის ძიება. მალე, იპოვეს — კარგად ნაცნობი ვლადე დივაცი, რომელიც ამავ „ლეიკერსს“ 1989 წლის დრაფტზე აუყვანია და 7 წლის შემდეგ „შარლოტ ჰორნეტსს“ 1996 წლის დრაფტის მე-13 ნომრად აყვანილ კობი ბრაიანტში გაუცვალა.

დივაცი ახლა ბელგრადშია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ლოსანჯელესელებისთვის, სერბი ცენტრი „ლეიკერსში“ დაბრუნებაზე დაეყაბულებინათ.

„მე 7 წელი ვთამაშობდი „ლეიკერსში“ და გადაწყვეტილების მიღებაც არ გამჭირვებია. ლოს ანჯელესში კი მივდივარ, მაგრამ „საკრამენტო“ არანაკლებ მიყვარს, ვწუხვარ, რომ „კინგზმა“ აღარ ისურვა ჩემთან ურთიერთობის გაგრძელება.“

დივაცი 6 წელი თამაშობდა „საკრამენტოში“ და ბოლო სეზონამდე გუნდის ერთ-ერთი ლიდერად ითვლებოდა. მას ფრთები მას შემდეგ შეეკვეცა, რაც „საკრამენტოში“ ბრედ მილერი მივიდა და დივაცის შედეგიანობაც მინიმუმამდე, 6,6 ქულამდე დაეცა.

„მეფეებს“ არ უნდოდათ დივაცის გაშვება, მას 5-მილიონიანი კონტრაქტიც შესთავაზეს. მაგრამ „ლეიკერსმა“ ამ თანხას პრემიებიც მიაბა და გამოცდილი სერბი თავისთან დაიგულა. სიტყვიერად ყველაფერი შეთანხმებულია და, სავარაუდოდ, დივაცი კონტრაქტს დღეს გააფორმებს.

36 წლის დივაცმა შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე თამაში იუარა, კარიერას ვასრულებ, მინდა დავისვენო და საბენეფისო სეზონს მომზადებული შევხვდეო, მაგრამ თავადაც ხედავთ ჯერ არაფერსაც არ ამთავრებს — „სტეიპლზ ცენტრში“ თამაში კალათბურთს მოყრჭებული ძიაკცისთვისაც კი დიდი ცდუნებაა.

ირაკლი პერტაია



ვლადე დივაცი „ლეიკერსში“ შაკილ ონილს ჩაენაცვლება

ნელი ფოცხვერს მიეფერა

რეპერებს რომ ძალიან უყვართ კალათბურთი, ცნობილი ამბავია. ზოგიერთს კი იმდენად ხიბლავს ეს თამაში, რომ თუ ჯიბე გასწვდება, ნბა-ს ბიზნესშიც სიამოვნებით დებს ფულს. თუ იცით ცნობილი რეპერი ნელი, კელისთან დუეტში რომ მღერის ბოლო დროის უპოპულარულეს კლიპში... ჰოდა, ამ ნელიმ თავისი კაპიტალის ნაწილი ნბა-ს ახალ ბინადარ „შარლოტ ბობქეთსში“ ჩადო და კლუბის ერთ-ერთი მესაკუთრე გახდა.



„ეს ძალიან მნიშვნელოვანი თანამშრომლობაა „ბობქეთსისთვისაც“ და თავად ნელისთვისაც — ამბობს „შარლოტის“ აქციათა უმრავლესობის მფლობელი, ტელემაგნატი რობერტ ჯონსონი — ნელი დიდი მომღერალი და გაქნილი ბიზნესმენია, მისი მარიფათი უთუოდ დაგვეხმარება სადებიუტო სეზონში.“

ნელი ფინანსური დეტალების გაუხმაურებლად შეუერთდა „ფოცხვერთა“ მფლობელთა ამ სიას: ყოფილ კალათბურთელ ემელ კარს, „ნაზდაკის“ საავტომობილო იმპერიის მფლობელ ფელიქს საბატესს და „ამერიკის ბანკის“ ყოფილ დიდმოხელე ჰიუზ მაკკოლს.

„არაერთ ოცნებას შორის, რომელიც ცხოვრებაში ამიხდენია, ნბა-ს კლუბის მეწილეობაცაა — ამბობს ნელი — კალათბურთზე მეტად სპორტი არ მიყვარს, ბიზნესშიც ასე თუ ისე გამეგება რაღაც და, ვფიქრობ, რობერტ ჯონსონთან ერთად საქმეს კარგად გავუძღვები.“

სამი გრემის მფლობელი ნელი, იგივე კორნელ ჰეინერი, შარლოტური გუნდის წვრილმესაკუთრეა, მაგრამ, როგორც ამბობს, დიდ ყურადღებას დაუთმობს კლუბში საქმიანობას და ეცდება, შარლოტის ბიზნესსაზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდეს.

ირაკლი პერტაია

WRC მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

კარლოს საინსი: ამ გამარჯვებამ ყველას თავისი ადგილი მიუჩინა

კარლოს საინსი (მარჯვნივ) თანამემამულე შტურმან მარკ მარტისთან ერთად სარეკორდო გამარჯვებას ზეიმობს

კვირას ფრანგული „სიტროენის“ ესპანელმა მრბოლმა კარლოს საინსმა არგენტინის ეტაპის მოგებით მერალეთა ეპოქალური რეკორდი დაამყარა. ეს 42 წლის „მატადორის“ 26-ე დიდი პრიზია.

სარეკორდო გამარჯვების შემდეგ საინსმა განაცხადა, რომ იგი ამ მიღწევით ძალიან კმაყოფილია და ახლა მომავალ წარმატებებზე ფიქრობს: „ჩემს კარიერაში 26 ეტაპი მოვიგე. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტატისტიკასა და რიცხვებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ლიდერობა მაინც ძალიან სასიამოვნოა. არგენტინის რბოლამ ყველა პილოტს საკუთარი პროფესიონალური კატეგორიების მიხედვით თავისი ადგილი მიუჩინა. ახლა მხოლოდ მომავალ, ფინეთის რალიზე ვფიქრობ, იქ ჩვენ უკვე ვივარჯიშეთ. იმედია, საკმაოდ ბრძოლისუნარიანი მანქანა გვეყოლება და ჩემპიონატის მეორე ნაწილს წარმატებით დავიწყებთ“ — უთხრა საინსმა ესპანური „მარკას“ კორესპონდენტს.

პატაგონიური რბოლა ფრიად რთული გამოდგაო, ამბობდა საინსი — „ორი დღის განმავლობაში გაგვიჭირდა, ხოლო მარკუს გრონჰოლმის რბოლიდან გამოთიშვის მერე სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა. საერთოდ კი ეს ეტაპი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უკიდურესად რთული იყო.“

მადრიდელი „მატადორი“ რბოლის შთაბეჭდილებებს ყვება: „რალის დროს საოცრად კონცენტრირებული ვიყავი, ყოველ წვრილმანს, მანქანის ყოველ დეტალს, ყოველგვარ უცნობ სუნს ყურადღებას ვაქცევდი და ვცდილობდი შესაბამის სისწრაფესთან ერთად გზაზე ქვები და სხვა დაბრკოლება მაქსიმალურად ფრთხილად ამეცილებინა. საბედნიეროდ, საჭირო სიმშვიდე ბოლომდე შევინარჩუნე. ეს მოგება ყველასთვის მნიშვნელოვანი იყო. მე მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეულმ პრიზი მოვიგე, რა თქმა უნდა, თანამძღოლ მარკ მარტის და „სიტროენის“ მთელი შემადგენლობის დიდი დახმარებით. მათი წყალობით მანქანას რაიმე სერიოზული პრობლემა არ ჰქონია. თანაგუნდელ სებასტიენ ლოების წარმატებაც მახარებს. მან არგენტინაში მეორე ადგილი დაიკავა და საერთო ჩათვლაში მუნდიალის ლიდერობა განიმტკიცა.“

საინსმა პირველად რალის მანქანით 1987 წელს პორტუგალიაში გაიჯირითა. მას აქეთ საჭეს ატრიალებს და ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა, თუმც ეს „უხსოვარ დროში“ იყო — 1990 და 1992 წლებში. პირველ გამარჯვებას 14 წლის წინ „ტოიოტათი“ მიაღწია საბერძნეთში, სულ კი 13 დასახელების რალი მოუგია, ოთხჯერ ახალ ზელანდიისა, სამ-სამჯერ საბერძნეთის, არგენტინის, მონაკოსი...

„მეფე კარლოსს“ კიდევ ორი მიღწევა ეკუთვნის — ყველაზე მეტ, 187 ეტაპზე გამოვიდა და პოდიუმზეც ყველაზე მეტჯერ (91) შედგა.

საინსი შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ აპირებდა რბოლებისთვის თავის დანებებას, მაგრამ დროებით გადაიფიქრა და ვიდრე იმავე აზრს დაუ[illegible], ერთ-ორი პრიზიც წაუმატოს თავის უმდიდრეს კოლექციას. თუმც ისედაც კარგა ხანს ვერავინ დაემუქრება მის მიღწევას. ყველაზე ახლოს მდგომ 36 წლის მარკუს გრონჰოლმს 11 მოგებით ნაკლები აქვს და ესპანელის რეკორდს სამი-ოთხი სეზონის მერე თუ მიაღწევს, თუკი, ცხადია, მანამდე რბოლის ხალისი შერჩება.

ლადო ხომერიკი

გია ახალაძე

ყველაზე მეტმოგებიანები

მრბოლი		ქვეყანა	მოგება	რბოლა
1	**კარლოს საინსი**	ესპანეთი	26	187
2	კოლინ მაკრეი	დიდი ბრიტანეთი	25	143
3	ტომი მაკინენი	ფინეთი	24	139
4	იუჰა კანკუნენი	ფინეთი	23	162
5	დიდიე ორიოლი	საფრანგეთი	20	151
6	მარკუ ალენი	ფინეთი	19	130
7	ჰანუ მიკოლა	ფინეთი	18	123
8	მასიმო ბიასონი	იტალია	17	79
9	ბიორნ ვალდეგაარდი	შვედეთი	16	95
10	**მარკუს გრონჰოლმი**	ფინეთი	15	90
11	ვალტერ რორლი	გერმანია	14	75
12	ტიმო სალონენი	ფინეთი	11	97
	სტიგ ბლომკვისტი	შვედეთი	11	119
14	არი ვატანენი	ფინეთი	10	101
	რიჩარდ ბარნსი	დიდი ბრიტანეთი	10	104
16	**სებასტიენ ლოები**	საფრანგეთი	8	47
17	სანდრო მუნარი	იტალია	7	36
	ბერნარ დარნი	საფრანგეთი	7	38
	ჟილ პანიზი	საფრანგეთი	7	61
	პეტერ სოლბერგი	ნორვეგია	7	67
.....				
27	**მარკო მარტინი**	ესტონეთი	3	63
.....				
40	**ჰარი როვანპერა**	ფინეთი	1	83

მთავრული შრიფტით — წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეები

ველორბოლა

le Tour de France ტურ დე ფრანსი

ბიჭები ხართ და მომყევით

ლენსმა ყველაფერი დააბალანსა

ლენს არმსტრონგი კვლავ პირველი იყო

ლენს არმსტრონგი თანამედროვეობის საუკეთესო მრბოლია და არ უნდა ამას ბევრი პედლის ტრიალი. სხვები მას კუდში მიჰყვებიან, ცდილობენ ხელი შეუშალონ, ბევრით არ ჩამორჩნენ... ესაა და ეს. არმსტრონგი ერთი დღით მიუახლოვდა ჩემპიონობას. დარჩენილ ოთხიოდ დღეში თუ რამე ფარსაგი არ შეემთხვა, ელისეს მინდვრებზე ტრიუმფალური სვლით მივა და ეს იქნება მისი ზედიზედ მეექვსე ჩემპიონობა, რაც — ერთხელაც აღვნიშნოთ — ტურ დე ფრანსის რეკორდი იქნება.

ვინ ან რამ უნდა შეუშალოს ხელი არმსტრონგს? მეექვსე წელია, მასზე არ მოქმედებს არც ადამიანური დალლილობა, არც ამინდი, არც ტრავმა-დაუეჟილობანი... ის სულ წინ და წინ მიიწევს...

...უკან კი წელს მხოლოდ იტალიელი ივან ბასო მიჰყვება. ეს ჯეელი არ ითვლებოდა მის მთავარ კონკურენტად, მაგრამ მთიან ეტაპებში, სადაც წყდება კიდეც თითქმის ყველაფერი, სხვებზე მარჯვედ მან იარა და სადღეისოდ მხოლოდ წუთნახევრით ჩამორჩება ლიდერს.

სხვები სად არიან ამ დროს? იან ულრიხი მხოლოდ მეხუთეა და ლამის შვიდი წამით ჩამორჩება არმსტრონგს. იბან მაიო და ტაილერ ჰამილტონი კი საერთოდ ამოვარდნენ საერთო ჩათვლიდან.

ბასო მე-15 ეტაპზეც, ალების პირველ ფერდობებზეც თამამად მიჰყვებოდა არმსტრონგს და ფინაშამდე არ მოასვენა. ბოლო ოთხი ეტაპიდან სამი სამთო გამოდგა და სამივე არმსტრონგ-ბასოს საფინიშო სპრინტით მთავრდება. სამიდან ორი არმსტრონგმა მოიგო.

„კარგად ვიარე, მაგრამ დღეს ლენსი ჩემზე ძლიერი იყო — ამბობდა ბასო ნარბოლევს — მართალი გითხრათ, ფეხებში საკმარისი ძალაც რომ შემრჩენოდა, არ შევუტევდი, რაკი ხვალ ინდივიდუალური რბოლა გველის მთებში და ენერგია უნდა გამოვიზოგოთ.“

ბოლოს და ბოლოს ფეხი გამოიღო ულრიხმაც და ამ ორს თითქმის ტოლსწორად მიჰყვა, მაგრამ პირველად-გულოსანთან 6 წამი წააგო და ფინიში მხოლოდ მესამემ გადაკვეთა.

ლენს არმსტრონგი კი მაინც ტაქტიანად ამბობს, ჯერ არაფერი გადაწყვეტილაო, ალპები წინააო და ერთადერთ კონკურენტად უკვე არა ულრიხს არამედ ბასოს ასახელებს — „მე არ ვფიქრობ, რომ ყველაფერი დამთავრდა. ივანი სუპერია და ხვალ ალბათ კარგ წინააღმდეგობას გამიწევს.“

ამასობაში ლიდერის ყვითელი მაისურა 11-დღიანი ტარების შემდეგ საბოლოოდ დაკარგა 25 წლის ფრანგმა ტომას ვეკლერმა. ის მხოლოდ ნახევარ წუთს უგებდა არმსტრონგს და ამ ეტაპზე მასთან ცხრანახევარი წუთის წაგების შემდეგ ერთბაშად მერვე საფეხურამდე ჩამოვარდა.

კოტე ყორშია

XV ეტაპი. 20 ივლისი. ვალრეასი — ვილარ დე ლანსონი. 180 კმ

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი)	4სთ 40წთ 30წმ
2 ივან ბასო (იტალია, CSC)	იგივე დრო
3 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი)	+3წმ
54 ტომას ვეკლერი (საფრანგეთი, ბრიოში ლა ბულანჟე)	+9წთ 30წმ

საერთო ჩათვლა

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი)	67სთ 13წთ 43წმ
2 ივან ბასო (იტალია, CSC)	+1წთ 25წმ
3 ანდრეას კლოედენი (გერმანია, T-მობაილი)	+3წთ 22წმ
4 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+5წთ 39წმ
5 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი)	+6წთ 54წმ
8 ტომას ვეკლერი (საფრანგეთი, ბრიოში ლა ბულანჟე)	+9წთ 28წმ

სტენლი კიევში

სტენლის თასი კიევშიც კი ჩაშოვიდა: ჰოკეის ყველაზე დიდი ჯილდოს მიმღებ ეტაპად ბეიში" ეს უკრაინელი ბიჭი, რუსლან ფედოტენკოც ირიცხება. ხმლ-ში ვი[illegible] ფინალის მომგებ ყოველ ჰოკეისტს შეუძლია ერთი დღე გაატაროს თასთან ერთად. რუსლანმა თასი კიევში წაიღო და ოკეანისგადაღმული ცოლი, დებიც იახლა.

REUTERS კარსონიდან

REUTERS კიევიდან

სერენას თოჯინა

კალიფორნიულ კარსონში, ჯიპი მორგანის საჩოგბურთო ტურნირზე პირველ ნომრადაა განთესილი სერენა უილიამსი. კარსონში ჩასვლისთანავე სერენას მისი სახიანი თოჯინა უსახსოვრეს და ისიც გახალისდა.

REUTERS ლონდონიდან

REUTERS ვალაურიდან

უმზირე ლენსს

ფრანგი ტომას ვეკლერი ჯერაც ტურ დე ფრანსის ლიდერია და 15-ე, ალპურ ეტაპს უნდა შეებას. მანამდე კი მისთვის მზესუმზირა უჩუქნიათ. ლენს არმსტრონგი კი მაინც არ იშლის თავისას და ფეხდაფეხ სდევს ფრანგს.

ახალი ტრამვაი

REUTERS ათენიდან

ბრიტანელი კრის იუბანკი ერთ დროს კარგი მოკრივე იყო, მერე კი ცხოვრება აერია. ახლა კვლავ კარგადაა და სწორედ რომ ინგლისელ ჯენტლმენივით გამოწყობილი მიეშურება პრემიერ-მინისტრის რეზიდენციისკენ, სადაც მიღებაზეა მიწვეული.

სალონიმპიადოდ ათენში ახალი ტრამვაი გამოჩნდა, რომელიც ქალაქის ცენტრში, სინტაგმას მოედანზე შემოდის. ტრამვაის ბარე ოცკილომეტრიანი მარშრუტი აქვს და ქალაქის სამხრეთ, ზღვისპირა გარეუბნებიდან იწყებს სვლას. სწორედ იქაა აშენებული ფალიროსა და ელინიკოს სპორტული კომპლექსები.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ჰამლეტ გუგულაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლაშო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge